პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 278 (20619) ✦ სამშაბათი, 28 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ინფორმაციები

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ რა მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღების შესახებ, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონთა მოქმედების პირობების, რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის განხორციელებისათვის, ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხებზე, 1989 წლის 17 აპრილის დადგენილებით ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებლად შექმნილი კომისიის დასკვნა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგო ჯორბენაძე შეუძლოდ იყო, ჯგუფის მუშაობის შესახებ სესიაზე ინფორმაცია გააკეთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ვ. ა. შარაშენიძემ.

ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნა მან, რომ მომზადდეს კანონი „საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ“ და არა „საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის შესახებ“. აქ მარტო ტერმინოლოგიურ პაექრობასთან არ გვაქვს საქმე. სტატუსი გაცილებით ფართო ცნებაა და მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას წარმოადგენს. ქართველ საზოგადოებას კი აწუხებს არა მოქალაქის სტატუსი, არამედ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, პრინციპები, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა რესპუბლიკისა თუ სახელმწიფოს მოქალაქეობისაგან.

საფუძვლიანი სჯა-ბაასი გვაქვს მთელი რიგი მწვავე სადისკუსიო ასპექტების მიმართ, მზადდება ალტერნატიული დებულებები. შემუშავებულია წინასწარი მოსაზრებები კანონპროექტისათვის ბინადრობისა და ენის ცენზის, ორმაგი მოქალაქეობის, მოქალაქეობის მიღებისა და ჩამორთმევის და სხვა საკითხებზე მოკავშირე რესპუბლიკების და საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით.

კანონპროექტზე მუშაობისას სამუშაო ჯგუფი ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ბოლო პერიოდში კარდინალურად შეიცვალა ქართველი ხალხის ფსიქოლოგია, იშვა ახალი მოძრაობანი, საზოგადოებანი, იდეები, პროგრამები, კონცეფციები, რომ მკვეთრად გამოკვეთა ეროვნული პოზიცია რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და მთავრობამ.

დღეს სამუშაო ჯგუფს მზად აქვს „საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ“ კანონპროექტის სამუშაო ვარიანტი. გვაქვს, აგრეთვე რუსთაველის საზოგადოების მიერ შემუშავებული იგივე დასახელების საინტერესო, საკმაო მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული პროექტი.

კანონპროექტის უდიდესი პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და სამართლებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, „აუჩქარებლად დაჩქარებული“ პრინციპით მუშაობით, სავარაუდოა, რომ კომისია უმოკლეს ვადაში შეძლებს მის დახვეწას, მასში რუსთაველის საზოგადოების კანონპროექტის დებულებათა და კომისიაში შემოსულ სხვა წინადადებათა გათვალისწინებას და უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიაში წარდგენას, რათა იგი დროულად გამოქვეყნდეს პრესაში საჯარო განხილვისათვის.

ვფიქრობთ, ჩვენი, მიგრაციის შესახებ კანონის, აგრეთვე რუსთაველის საზოგადოების კანონპროექტის შემმუშავებელი ჯგუფების ორიოდე გაერთიანებული სხდომა საკმარისი იქნება, რათა საბოლოოდ, საჯარო განხილვამდე კიდევ ერთხელ გამოვკვეთოთ ჩვენი პოზიციები.

მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის მიღებას წინ უნდა უსწრებდეს საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 31-ე მუხლში ცვლილებების შეტანა.

„წინადადებები საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიაში შესატანად — საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ახალი რედაქციის პროექტი მზად გვაქვს. მიგვაჩნია, რომ თუ კონსტიტუციაში არ იქნება შეტანილი ცვლილებები რესპუბლიკის მოქალაქეობასთან დაკავშირებით, მაშინ მოქალაქეობის შესახებ კანონის შემუშავებას აზრი ეკარგება, მით უმეტეს, რომ ამ ცვლილებათა გარეშე თვით კანონის მიღება ანტიკონსტიტუციური აქტი იქნება, რამდენადაც დღეს საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციითა და სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ 1978 წლის კანონით მკაფიოდ არ არის დადგენილი მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის ინსტიტუტი, ხოლო ამ უკანასკნელს რესპუბლიკის მოქალაქედ მხოლოდ უცხოელ მოქალაქეთა მიღების უფლება აქვს შენარჩუნებული.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოგიდგინოთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ახალი, ჩვენეული რედაქციის პროექტი მცირედი კომენტარით.

უპირველესად, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რესპუბლიკის მოქალაქეობა და იმ კანონთა წრე, რომელიც ამ საკითხებს არეგულირებს. ამდენად, პირველი ნაწილი ასე ჩამოყალიბდება — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დადგენილია საქართველოს სსრ მოქალაქეობა, რომელსაც მხოლოდ რესპუბლიკის კანონმდებლობა აწესებს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ამ მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც საქართველოს სსრ და სსრ კავშირის მოქალაქეობის ურთიერთდამოკიდებულებას შეეხება. ხანგრძლივი დებატების შემდეგ, რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენ ასეთ ფორმულირებაზე შევჩერდით: „საქართველოს სსრ მოქალაქეობის პირველადობიდან გამომდინარე, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე იმავდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ამ ნაწილისადმი არაერთგვაროვანია.

ვფიქრობთ, არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს მესამე ნაწილი — „საქართველოს სსრ მოქალაქეები საზღვარგარეთ სარგებლობენ საქართველოს სსრ და სსრ კავშირის დაცვითა და მფარველობით“, რადგან რესპუბლიკას ჯერ მხოლოდ თითო-ოროლა ქვეყანაში ყავს თავისი წარმომადგენლობა, ამიტომ საქართველოს სსრ მოქალაქეთა ინტერესები მოითხოვს გვქონდეს სსრ კავშირის მფარველობის იმედი. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ მუხლის მეორე ნაწილის ჩვენს მიერ შემუშავებული ფორმულირების სისწორეს.

დღეს მოქმედი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლში არის ასეთი ნაწილი. „სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებით“. თუ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ყველა მოქალაქე ჩვენი მოქალაქის თანაბარი უფლებით სარგებლობს, მაშინ რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება საერთოდ კარგავს აზრს. ამიტომ ჩვენ ეს ნაწილი განვავრცეთ შემდეგნაირად — „გარდა საქართველოს სსრ მოქალაქეთათვის დადგენილი იმ უპირატესი უფლებების და შესაბამისი მოვალეობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით“. გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია, არამედ უპირატესობა რესპუბლიკის მოქალაქისა, როგორც უფლებების, ისე, ვფიქრობთ, უპირატესად ვალდებულებების სფეროში.

უდავოა, მეხუთე ნაწილში ჩამოყალიბებული დებულება — „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შემოსვლა და ტერიტორიიდან გასვლა რეგულირდება საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კანონებით“ და მხოლოდ სსრ კავშირის ტერიტორიაზე გადაადგილება კი არ იგულისხმება, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამუშაო ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ამავე მუხლში აისახოს ის დებულება, რომელიც რესპუბლიკაში მიგრაციულ პროცესებს მოაწესრიგებს, რამდენადაც ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სსრ მოქალაქეობასთან. ამ მუხლის მეექვსე ნაწილმა ასეთი ფორმულირება მიიღო — „მიგრაციულ პროცესებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს სსრ კანონმდებლობა რესპუბლიკის დემოგრაფიული, ეკოლოგიური, მიწათსარგებლობის შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აღნიშნა დეპუტატმა ა. ი. კავსაძემ, მიმდინარე წლის 20 ივნისს შექმნილ ჯგუფს დაავალა კანონის პროექტის შემუშავება, რომელიც ახლებურად მოაწესრიგებდა საბჭოთა კავშირის კანონის მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე.

კანონის პროექტის მომზადების მიზნით ჯგუფის წევრებს საინტერესო შეხვედრები გვქონდა მოსახლეობის და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. გავეცანით მსოფლიოს თითქმის ყველა ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციას და იმას, თუ როგორ წესრიგდება სხვა ქვეყნებში ანალოგიური ურთიერთობები. შევისწავლეთ მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შემუშავებული წინადადებები და კანონები.

მე მოგაგონებთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედ 77-ე მუხლს: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონები სავალდებულოა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე“.

ახლა მოისმინეთ ჯგუფის მიერ შემუშავებული წინადადება კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კანონები.

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს მთლიანად ან ნაწილობრივ სსრ კავშირის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ეს კანონი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს, ამასთან ვალდებულია სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხი რესპუბლიკის მოთხოვნების შესაბამისად არ გადაწყდა, კანონი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ იმოქმედებს“.

კანონის პროექტი გავაცანით სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ პირებს და სპეციალისტებს, პროფსაბჭოს პლენუმის მონაწილეებს, ბორჯომის რაიონის ამომრჩევლებს, კომკავშირულ მუშაკებს, ახალგაზრდობის სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

გ. გუმბარიძე ქართლის რეგიონებში

26 და 27 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის რეგიონებში იმყოფებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

იგი შეხვდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების პირად შემადგენლობას, პარტიულ და საბჭოთა აქტივს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

შეხვედრების დროს იმსჯელეს პრინციპულ და დემოკრატიულ საფუძველზე ვითარების ნორმალიზაციის გზების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ სიდინჯეს, გონიერებას, კონსტრუქციულ მოთხოვნებზე დაფუძნებული ურთიერთმისვლები, კანონიერი გადაწყვეტილებების მტკიცე ძიებას შეუძლია რეგიონში თანხმობისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დამყარება.

რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა, საზოგადოებრივი გაერთიანებების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა — ყველამ თავის ადგილზე — ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ვითარება ნორმალურ კალაპოტში მოექცეს, აღიკვეთოს მოვლენათა არასასურველი და სახიფათო განვითარება.

აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირებულობა, აქტიურად და მტკიცედ წარიმართოს ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს უსაფუძვლო ხმებისა და მონაჭორების გამოვლენის არც ერთი შემთხვევა, რომელიც აფორიაქებს საზოგადოებრივ აზრს, ხელს უწყობს პროვოკაციულ მოქმედებას.

ნებისმიერი უკანონო საქციელი და გადაწყვეტილება, ადამიანთა უფლებების შელახვის შემთხვევები უაღრესად მკაცრად შეფასდება და მიიღებს კვალიფიკაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ. გუმბარიძე შეხვდა აგრეთვე ახლანდელ ვითარებასთან დაკავშირებით ცხინვალში შექმნილი სპეციალური ოპერატიული შტაბის წევრებს. განისაზღვრა დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განახორციელონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდამცავმა ორგანოებმა საზოგადოებრივი წესრიგის სრული აღდგენისა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილებისათვის. (საქინფორმი).

დავძლიოთ ელექტროენერგიის დეფიციტი

საქართველო ელექტროენერგიის გარდაუვალი დეფიციტის პრობლემის წინაშეა. იგი დღეს არ გაჩენილა და გამოწვეულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, რამაც გამოიწვია ჩამორჩენა ენერგეტიკული სიმძლავრეების ამოქმედებაში.

ელექტროენერგიის ნაკლებობა განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდება წლევანდელ ზამთარში, რომელიც, მეტეოროლოგთა პროგნოზებით, ხანგრძლივი და სუსხიანი იქნება. უკვე პირველმა აცივებამ დაგვანახვა, თუ რამდენად არასაიმედოა არსებული ენერგეტიკული მეურნეობა. თოვლმა, შემდეგ კი სადენების შემოყინვამ დააზიანა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ელექტროგადამცემი ხაზები, გამოიწვია მომხმარებელთა მომარაგების შეფერხება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განიხილეს რესპუბლიკის ენერგეტიკული კომპლექსის ფუნქციონირების სტაბილიზაციის საკითხი, დასახეს ოპტიმალური ბალანსის ფორმირების ღონისძიებანი, რომელმაც უნდა შეამციროს დეფიციტი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ამჟამად მიმდინარე რეკონსტრუქციას. საქართველოში უდიდესი ეს თბოსადგური შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მთელი წარმოებული ელექტროენერგიის 60 პროცენტზე მეტს გამოიმუშავებს. ხოლო მისი გაფართოებისა და თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვის შემდეგ იგი შეძლებს გამოიმუშაოს 80 პროცენტი. ახლა აქ სრული სვლით მიმდინარეობს მეცხრე ენერგობლოკის ასაგები სამუშაოები. ეს ბლოკი პირველია 300-300 მეგავატი სიმძლავრის ოთხი ასამუშავებელი კომპლექსიდან, რომლებმაც შესამჩნევად უნდა გაზარდონ მთელი თბოსადგურის მწარმოებლობა. კომპლექსს აშენებს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „საქჰიდროენერგომშენი“, რომელსაც მშენებლობისათვის შემჭიდროვებული ვადები გამოუყვეს და, მართალია, კოლექტივი მაქსიმალური დაძაბვით მუშაობს, მაგრამ ყველაფერი რიგზე როდია. განსაკუთრებით ბევრი პრობლემაა მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალების მიწოდებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქმეს აფერხებენ კაბელის, დიდი წნევის მილების მიმწოდებლები, ხშირად „ბუქსაობს“ რკინიგზის ტრანსპორტი.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მოწყობილობის დროულად მიწოდებისა და მონტაჟის საკითხებს, დაამყარონ მიმწოდებლებთან უფრო მჭიდრო კონტაქტები. თებერვალში ახალმა ენერგობლოკმა უნდა დაიწყოს ელექტროენერგიის გამომუშავება.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ი. პავშენცევმა.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისა და ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ახლანდელმა გაუმართლებელმა ზრდამ, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მატებას, და ვაჭრობაში მისი მიწოდების გეგმის შეუსრულებლობამ გაართულა სიტუაცია სამომხმარებლო ბაზარზე. გამწვავდა ბევრი პირველი საჭიროების საქონლის დეფიციტი, ფასები დაუსაბუთებლად მატულობს, იაფი ასორტიმენტი „ქრება“. ზოგიერთ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა აჟიოტაჟური გახდა. ეს ქმნის სოციალურ დაძაბულობას, ართულებს მოსახლეობის ხელმოკლე ჯგუფების მდგომარეობას.

სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციის, ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების, პირველი საჭიროების საქონლის გამოშვების გაზრდის მიზნით სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. 1989 წლის IV კვარტლისა და 1990 წლისათვის შეჩერდეს მოქმედება:

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტისა იმ ძირითადი სასურსათო საქონლის სახელშეკრულებო ფასების დადგენის ნაწილში, რომლის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო ვაჭრობაში, გარდა კარტოფილის, სუფრის ყურძნის, ხილ-ბოსტნეულის პროდუქციისა, აგრეთვე მათი გადამუშავების პროდუქტების, მათ შორის კონსერვებისა, აგრეთვე სოციალურად მნიშვნელოვანი არასასურსათო საქონლის, უწინარეს ყოვლისა ბავშვებისა და უფროსი ასაკის პირებისათვის განკუთვნილი საქონლის სახელშეკრულებო ფასების დადგენის ნაწილში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 10 დღის ვადაში დაამტკიცოს საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით აღნიშნული საქონლის ნუსხა;

ამ კანონის მე-19 მუხლისა სახალხო მოხმარების საქონლის და გეგმით დადგენილი კვოტების გადამეტებით მისი წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ექსპორტის შესახებ სამეურნეო ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების დადების ნაწილში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ დაწესდეს სახალხო მოხმარების საქონლისა და მისი წარმოებისათვის საჭირო ძირითად სახეობათა ნედლეულის ექსპორტის ლიცენზირება, რომელსაც ახორციელებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ყველა მონაწილე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 10 დღის ვადაში დაადგინოს აღნიშნული ოპერაციების მოსაწყობად ლიცენზიების გაცემის წესი.

2. რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს:

გაზარდონ საწარმოთა შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სახელმწიფო შეკვეთების მიღებისა და შესრულებისათვის. რეგულარულად განიხილონ ამ საქონლის გამოშვებისა და ბაზრისათვის მისი მიწოდების გეგმების შესრულების მიმდინარეობა;

ადგილობრივი პირობების შესაბამისად განახორციელონ სოციალურად დაბალი ფასებით სარეალიზაციო მსუბუქი მრეწველობის საქონლის ნუსხის გაფართოებისა და დაზუსტების ღონისძიებანი;

აქტიურად ჩააბან სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტები, პროფკავშირთა საბჭოები და მომხმარებელთა საზოგადოებანი საქონლის ფასებისა და მომსახურების ტარიფების მომატების, იმ იაფი საქონლის „გაქრობის“ თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელზეც არის მოსახლეობის მოთხოვნა, დაამთავრონ ფასებისადმი კონტროლის სახელმწიფო სისტემის შექმნა;

განიხილონ უმნიშვნელოვანესი სახეობის ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის სეზონების მიხედვით დიფერენცირებული ზღვრული საცალო ფასების დადგენის საკითხი, გააძლიერონ კონტროლი მათი სწორი გამოყენებისადმი, ამასთან საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ადგილობრივი ბიუჯეტის დოტაციები ამ და სახელშეკრულებო შესასყიდ ფასებს შორის სხვაობის ასანაზღაურებლად.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა არსებითად გააფართოონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმებში სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობა, ამასთან გაითვალისწინონ მასში ნატურალური გამოხატულებით მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი საქონლის (ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟის ნაწარმი და წინდები) წარმოება და ბაზრისათვის მიწოდება, გაზარდონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის დაგეგმილი ნომენკლატურა, აგრეთვე სახელმწიფო შეკვეთაში შეიტანონ ძირითად სახეობათა ნედლეულის, მაკომპლექტებელი ნაწარმისა და მისი გამოშვებისათვის განკუთვნილი მასალების წარმოება.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს დამატებით ღონისძიებებს:

ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებისათვის:

განსაზღვრულია მასობრივი მოთხოვნის საქონლის ნუსხა, რომლის სახელმწიფო საცალო ფასების დონე უცვლელი რჩება, — ხორცი და ხორცეული, ძირითად სახეობათა თევზი და თევზეული, და თევზის კონსერვები, ერბოკარაქი, სასურსათო ცხოველური ცხიმები, მცენარეული ზეთი, მარგარინი და მარგარინის პროდუქცია, რძე და რძის პროდუქტები, ქაშაყი, ყველი, კვერცხი, შაქარი, ნატურალური ჩაი, მარილი, ფქვილი, პური და პურფუნთუშეული, ბურღული და პარკოსნები, მაკარონეული, საბავშვო და დიეტური კვება, ბავშვებისა და უფროსი ასაკის პირებისათვის განკუთვნილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი სოციალურად დაბალი ფასებით, სასკოლო-საწერი ნივთები;

ხორციელდება კონკრეტული მუშაობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ იაფი საქონლის წარმოების შეწყვეტა, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნაა, არ იქნეს დაშვებული ახალი საქონლის საცალო ფასების მომატება, თუ არ შეიცვლება მისი ხარისხი, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სამომხმარებლო თვისებები.

დადგენილია, რომ 1990 წლის 1 იანვრიდან ახალი არასასურსათო საქონლის სახელშეკრულებო ფასები, რომელსაც უნარჩუნდება ასეთი ფასების გამოყენების შესაძლებლობა, როგორც წესი, არ შეიძლება დამტკიცდეს სახელმწიფო საცალო ფასებთან 30 პროცენტზე მეტი წანამატით;

სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისათვის:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში გაითვალისწინებენ ბავშვებისა და უფროსი ასაკის პირებისათვის განკუთვნილი საქონლის, მათ შორის სოციალურად დაბალი ფასებით საქონლის, ამისათვის საჭირო ქსოვილების, ფურნიტურის და სხვა მასალების გამოშვების სახელმწიფო შეკვეთას, აგრეთვე განსაზღვრავენ ამ საქონლის რეალიზაციის წესს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფებისათვის მის მიყიდვას;

სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები 1989 წლის IV კვარტალის განმავლობაში და 1990 წელს განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა მოიხსნას დაძაბულობა სინთეზური სარეცხი საშუალებებით, კბილის პასტით, სასკოლო ფორმით, რვეულებით, ქალის კოლგოტებით, „ელვა“ შესაკრავებით, გალვანური ელემენტებით, სამართებლებით, ელექტროუთოებით, საკერავი მანქანების ნემსებით, თამბაქოს ნაწარმით, სარეცხი და ხელის საპნით მოსახლეობის უზრუნველყოფაში და გაუმჯობესდეს მასობრივი სამკურნალწამლო პრეპარატებით მომარაგება;

სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაუწესდებათ დამატებითი დავალებანი, რომ 1990 წელს ზენორმატიული მარაგის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის, ნახევარფაბრიკატებისა და წარმოების ნარჩენების ნაშთის შემცირების გზით მიაწოდონ პროდუქცია სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებ საწარმოებს; აგრეთვე კოოპერატივებსა და პირებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითი საქმიანობას ეწევიან.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო დამატებით გადასცემს 1990 წელს სსრ კავშირის სახმომარაგებას მასალებსა და მოწყობილობას, აგრეთვე ნივთობრივ და სამეურნეო ქონებას საცალო ვაჭრობის მეშვეობით მოსახლეობისა და კოოპერატივებისათვის სარეალიზაციოდ;

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაამუშავებს 1990 წლის I კვარტალში ფასებისა და ინფლაციის ინდექსების გამოანგარიშების სისტემას, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი კი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მოამზადებს წინადადებებს იმის შესახებ, რომ შესაბამისი საკომპენსაციო მისაცემლები დაუწესდეს ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობას და უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ხელმოკლე ჯგუფებს;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ სახელმწიფო საბინაო ფონდიდან მოსახლეობისათვის ბინების მიყიდვის გაფართოების ღონისძიებებს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 20 ნოემბერი.

ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების 125 წლისთავის გამო

საიუბილეო კომისიის სხდომა

ნიკო ფიროსმანაშვილის 125 წლისთავის იუბილეს აღმნიშვნელი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის წინა სხდომებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას მიეძღვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართული მორიგი სხდომა.

სხდომაზე გამოსულმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ, საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ღლონტმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ელგუჯა ამაშუკელმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა თენგიზ ფერაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა ნოდარ ჯანბერიძემ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა თამაზ სანიკიძემ, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ნიკოლოზ ნეფედოვმა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა გაიოზ კანდელაკმა, პასუხისმგებელმა სამეურნეო მუშაკებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ჟურნალისტებმა აღნიშნეს მხატვრის იუბილეს დიდი მნიშვნელობა, რომელმაც ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნების დიდება შორს გაიტანა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, ითქვა, რომ მისი იუბილეს მოწყობის შესახებ მოლაპარაკება წარმოებს იუნესკოსთან, რომელიც, როგორც ცნობილია, აღნიშნავს მხოლოდ „მრგვალ“ თარიღებს და, მიუხედავად ამისა, გამოეხმაურა ამ წინადადებას. მიმდინარეობს მოლაპარაკება პარიზში ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევართა გამოფენის მოწყობის, იუნესკოს გამოცემებში ქართველ მხატვარზე სტატიების გამოქვეყნების შესახებ.

აქტიური მსჯელობის საგანი კვლავ გახდა საზღვარგარეთის ბაზაზე მხატვრის ნაწარმოებების ალბომის გამოცემის, საიუბილეო მარკის, ღია ბარათების, კონვერტების გამოშვების, მოსკოვსა და ლენინგრადში საიუბილეო საღამოების, თბილისის დამმობილებულ ქალაქებში პალერმოში, ნანტში, ინსბრუკში, პრინსტონსა და სხვა ქალაქებში საიუბილეო საღამოების ორგანიზაციის, მხატვრის მშობლიურ სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის ძეგლის დადგმის საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჩითანავამ. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

1989 წლის 26 და 27 ნოემბერს ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში კვლავ წარმოიშვა დაძაბულობის ცალკეული კერები. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები, რომლებიც აქ იყო შემოყვანილი 23 ნოემბერს, ვითარების გამწვავების მომენტში, მთლიანად არიან გაყვანილი ოლქის ტერიტორიიდან. საზოგადოებრივ წესრიგს ამყარებენ მხოლოდ და მხოლოდ მილიციის ძალები.

ყოვლად უსაფუძვლოა გავრცელებული ჭორები, თითქოს აქ მკვლელობები მომხდარიყოს. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ოლქის ტერიტორიაზე არ ყოფილა არც ერთი ასეთი ფაქტი. ჭორები და ყოველგვარი მითქმა-მოთქმა, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა მსგავს შემთხვევებში, აღაგზნებს მოსახლეობას, პროვოკაციულად უბიძგებს მას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები კონტროლს უწევენ მდგომარეობას, ეწევიან სათანადო ახსნა-განმარტებითსა და პროფილაქტიკურ მუშაობას. ამ მუშაობის შედეგად ოლქში ვითარება სულ უფრო სტაბილური ხდება, მოიხსნა პიკეტები გზებზე, ავტოტრანსპორტის მოძრაობა ყველგან აღდგა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფი.

მწვავე სიგნალი

როცა საქმე თვითდინებაზე მიუშვით

არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ ჯართის დამზადების ათი თვის გეგმის შესრულებას რესპუბლიკაში თითქმის 7,5 ათასი ტონა შავი ლითონი დააკლდა.

ეს განპირობებულია საქმისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულებით. სამეურნეო მუშაკებმა იციან, რომ მეორეული ლითონის შეგროვება და მომხმარებლისათვის დროული მიწოდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მიმდინარე წლის დამდეგიდან, სახელმწიფო შეკვეთის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. დიახ, იციან, მაგრამ ცოტას ღონობენ მისი შესრულებისათვის.

სისტემატურად იშლება ჯართის დამზადების გეგმა აფხაზეთში. ათ თვეში აქ გათვალისწინებულზე 2241 ტონით ნაკლები ლითონი ჩააბარეს სახელმწიფოს. ასევე არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს აჭარაში და სამხრეთ ოსეთში. 2461 ტონა ჯართი დარჩა დაუმზადებელი ქ. თბილისში და ამ დანაკლისის დიდი ნაწილი ლენინის, კიროვის, საქარხნო, აგრეთვე კალინინისა და ოქტომბრის რაიონების წილად მოდის.

იმათ რიცხვს, რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ მეორეული შავი ლითონის შეგროვების გეგმას, მიეკუთვნება მცხეთის რაიონიც. ამ რაიონს ათი თვის მონაცემებით ჩასაბარებელი დარჩა 687 ტონა ლითონი. ასევე ძალიან დიდი რაოდენობის ჯართი დააკლეს მომხმარებელს კასპის, ქარელის, სიღნაღის, წალკის, წითელწყაროს, დუშეთის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ახმეტის, გარდაბნის, მესტიის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ხაშურის რაიონებმა, აგრეთვე ტყიბულის, ვანის, დმანისის, ყაზბეგის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, თიანეთის, ხობის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებმა.

ათასობით ტონა შავი ლითონი დარჩათ ჩაუბარებელი ათ თვეში მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტსა და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს, ასობით — კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას, „ტყვარჩელქვანახშირის“ სამმართველოს, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნებს, „თბილსგვირაბმშენს“, თბილისის საქალაქო საბჭოს ორგანიზაციებს.

ნოემბერში რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 37300 ტონა მეორეული შავი ლითონი და გადაიფაროს ის 7391 ტონა, რომელიც ათ თვეში დააკლდა სახელმწიფოს. ასეთი დავალება მისცა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს. ამ თვეში დასამზადებელი ჯართიდან სადღეისოდ შეგროვილია მხოლოდ 14 ათასი ტონა.

როცა ამ წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ჯართის დამზადების ათი თვის გეგმის შეუსრულებლობას გამართლება არა აქვს, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკაში არიან საქალაქო და რაიონული სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომები, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან ჯართის დამზადებას და ყოველთვის ასრულებენ გეგმებს. მათ შორის გახლავთ თბილისის პირველი მაისის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის, გლდანის, საბურთალოს, ქუთაისის ავტოსაქარხნო, ახალციხის, სამტრედიის, თელავის, წალენჯიხის, სენაკის რაიონული, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომები.

უთუოდ უნდა შესრულდეს ნოემბრის, თერთმეტი თვისა და მთლიანად მიმდინარე წლის ჯართის დამზადების გეგმები.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ინფორმაციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

თავს ვალდებულად ვთვლი, განმარტება მივცე რამდენიმე შენიშვნას, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველგან, სადაც კი მსჯელობა გვქონდა კანონპროექტის შესახებ, ერთი და იგივე საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე. კერძოდ, ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ კანონპროექტის ტექსტში სიტყვა „ნაწილობრივ" ზედმეტია. მინდა განვმარტო, რომ ხშირად კანონი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ასეთ შემთხვევაში სიტყვა „ნაწილობრივ" გვაძლევს საშუალებას მივიღოთ კანონის ის ნაწილი, რომელიც მისაღებად მიგვაჩნია და უარი ვთქვათ იმაზე, რაც რესპუბლიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ზოგიერთი სპეციალისტი — საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენელი — კატეგორიულად მოითხოვდა, რომ წარმოდგენილ პროექტში გაგვეთვალისწინებინა დებულება, რომლის მიხედვითაც საკავშირო კანონის ძალაში შესვლამდე აუცილებელი გახდებოდა ამ კანონის რეგისტრაცია რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. ეს ჩვენ არ მივიღეთ სხვადასხვა მიზეზის გამო. აი რამდენიმე მიზეზი: პირველი, რა თქმა უნდა, სამართლებრივად და ეთიკურად კორექტული არ იქნებოდა დაგვეწესებინა კონტროლი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობისადმი. მეორე და ძირითადი, ასეთი გადაწყვეტილებით ჩვენ ვიზღუდავთ თავს, რადგან რეგისტრაციაში გატარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ესა თუ ის ნორმატიული აქტი მიღებულია. შემდგომი მისი შეჩერება ან მასზე ზემოქმედება მხოლოდ გართულებას გამოიწვევს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულირება მოქნილია, ის ამოქმედდება მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება დადგება.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ გავეცანით მსოფლიოს თითქმის ყველა ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციას და იმას, თუ როგორ წესრიგდება ანალოგიური საკითხები ამ ქვეყნებში. მასალების ანალიზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფედერაციულ სახელმწიფოებში ფედერაციის უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული კანონები უზენაესია და არავითარი მეორე აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს.

თუმცა, მაინც შევძელით მოგვეძებნა პრეცედენტი, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევაში თვით შტატის გუბერნატორსაც კი აქვს მინიჭებული უფლება ნოტიფიკაციის საშუალებით შეაჩეროს ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მოქმედება შტატის ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1989 წლის 20 სექტემბერს, ხაზგასმითაა აღნიშნული: „მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უზენაეს წარმომადგენლობის ორგანოებს შეუძლიათ გააპროტესტონ და შეაჩერონ საკავშირო მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა მოქმედება თავიანთ ტერიტორიაზე, თუ ისინი არღვევენ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციურ უფლებებს".

როგორც მოყვანილი მასალებიდან და საკითხის შესწავლით ვასკვნით, საბჭოთა კავშირში გარდაქმნისა და მართვის დემოკრატიზაციის პირობებში სრულიად ახალ, პროგრესულ საფეხურზე უნდა ავიდეს სოციალისტური ფედერალიზმის საფუძვლები და პრინციპები.

ჩვენი მხრივ, მზად ვართ დავიცვათ წარმოდგენილი კანონის პროექტის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები.

მაგრამ გამოგიტყდებით, რომ იმის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა არაორაზროვანი მითითება მისცა ბალტიისპირეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, მათ მიერ მიღებული ანალოგიური კანონების საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, ჩვენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და სხვა ორგანოების თანადგომის იმედი აღარც გვქონდა. ალბათ, გაითვალისწინა რესპუბლიკის საზოგადოების სურვილები, განწყობილება და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ იკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა და დაგვიჭირა მხარი. დიდი მადლობა თანადგომისათვის, კაცობისა და მამულიშვილობისათვის.

რაც შეეხება ამხ. გ. გუმბარიძის მიერ წარმოდგენილ ფორმულირებას, იგი ჩვენი პროექტის იდენტურია და განსხვავება მხოლოდ სტილისტური ხასიათისაა. ამიტომ, ბუნებრივია, მხარს ვუჭერთ მას და დეპუტატებს ვთხოვთ ერთნებაობის გამოხატვას.

იმისათვის, რომ კანონი მკვდრადშობილად არ დარჩეს, საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალოს კანონის ავტორებს გამოცდილი იურისტების მონაწილეობით მოამზადონ თეორიულად დასაბუთებული წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში გამარჯვება დავით აღმაშენებელმა მხოლოდ 13-14 წლის მეფობის, რუის-ურბნისის კრების შემდეგ შეძლო, ე. ი. მას შემდეგ, რაც სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად საერო ხელისუფლება და სამღვდელოება გაათავისუფლა უღირსი ადამიანებისაგან, მექრთამეებისაგან, ხელისუფლებაში მიიყვანა ღირსეულნი.

დიახ! შეუძლებლად მიმაჩნია სახელმწიფოში არსებობდეს კორუფცია და ვლაპარაკობდეთ კანონიერებაზე, სამართლებრივ სახელმწიფოზე. ამიტომ პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ მის განწმენდაზე, იმაზე, რომ კანონი კანონობდეს, რომ მისი აღმასრულებელი მოქმედებდეს სუფთა ხელებით. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოს უდიდესი ჰუმანისტი — დემოკრატების, თვით გენიოსების მიერ შემუშავებული სრულყოფილი კანონი აღმოჩნდება ხალხის და პატიოსანი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული, თუ ის მექრთამის ხელში ჩავარდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს არჩევნები, ხომ არ აჯობებდა ამ სესიის შემდეგ ყურადღების ცენტრი გადავიტანოთ არჩევნების ჩატარებაზე, რათა ხელისუფლების, მართვა-გამგეობის და სამართალდამცავი ორგანოების შემადგენლობაში პატიოსანი და ღირსეული მამულიშვილები აირჩიონ.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. ვინ არ იცის, რომ ჩვენ არა ვართ მზად პარლამენტური მუშაობისათვის — არც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, არც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები. ისინი არ არიან პროფესიონალები და არც არის გასაკვირი, რომ ბევრ სამართლებრივ პოლიტიკურ საკითხს სწორ შეფასებას ვერ აძლევენ. ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო, თუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შექმნიდა სპეციალურ საკონსულტაციო ჯგუფს, სადაც შევიდოდნენ იურისტები, ფილოსოფოსები და პოლიტოლოგები. ამ ქვედანაყოფს უნდა ჰქონდეს კავშირი საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სამდივნოსთან, საიდანაც წინასწარ მიიღებს საჭირო მასალებს, პროექტებს, რომლებიც ქვედანაყოფში განიხილება, მომზადდება რესპუბლიკაში და მიეცემა დეპუტატებს. ამ ქვედანაყოფს შეეძლება სრულიად ახლებურად წარმოაჩინოს დეპუტატები ჩვენი რესპუბლიკიდან და დიდი დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს. ვფიქრობთ, დეპუტატები დაუჭერენ მხარს ასეთი ქვედანაყოფების შექმნას.

რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლის და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ჯ. ა. ჩარკვიანმა** თავის სიტყვა-ინფორმაციაში ილაპარაკა მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი ორგანოს არაობიექტურ, ტენდენციურ პოზიციაზე, რომელიც მათ დაიკავეს რესპუბლიკაში მომხდარ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით.

გულახდილად ვთქვათ, — აღნიშნა მან, — რაც დღეს საქართველოში ხდება, ამის შემჩერებელი მხოლოდ სიკეთე და სულგრძელობაა და არა დაშინება და ძალისმიერი პოლიტიკა. ამის შემჩერებელი მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, სრულ თავისუფლებას.

ბევრ რამეში ჩამოვრჩით, დავაგვიანეთ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, არც გვიფიქრია იმიგრაციული პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის აუცილებლობაზე, რომელიც განპირობებულია იმის ცხადყოფით, რომ საქართველოში შეიძლება ცხოვრობდნენ არაქართული ორიენტაციის ხალხები, რომლებსაც არავითარი სიყვარული არ იზიდავს ჩვენი ქვეყნისაკენ.

იმიგრაციის მიმართ პასიურობა დამღუპველია ქართველებისათვის — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

გაცილებით დიდი და ძლიერი სახელმწიფოები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ იმიგრაციის საკითხს თავიანთ კანონმდებლობაში. ჩვენ — არა!

ბოლოს და ბოლოს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში დაარსდა „იმიგრაციული პროცესების შემსწავლელი" კომისია, რომელიც გააანალიზებს ამ პროცესებს, ხოლო ამავე დროს მოწოდებულია აღკვეთოს ყველა ის შეცდომა და ნაკლოვანება, რომელიც ამ მხრივ არსებობს.

ჩვენი კომისია უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს იმას, რომ საქართველო უაღრესად მცირემიწიანი ქვეყანაა და დასახლებისათვის ვარგისი მიწების ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე ოთხჯერ უფრო მცირეა, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ამის შედეგად სოფლად ოჯახის გამრავლების დროს არ ხერხდება ახალი კომლისათვის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა და ახალგაზრდა მასობრივად მიდის ქალაქში. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად გადავიდა ათეული ათასობით კაცი. მიმოსვლის შეფარდება აშკარად არასასურველია სოფლისათვის.

მწარმოებლური ძალების განვითარების თანამედროვე დონეზე საქართველოს ტერიტორია საკმაოდ გადატვირთულია. ასეთ ვითარებაში აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას დემოგრაფიული, ეკოლოგიური და მეურნეობრივი განვითარების წონასწორობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების პირობები გაუარესდება და ბუნებას შეიძლება მივაყენოთ გამოუსწორებელი ჭრილობა.

მცირემიწიანობა და დასაქმების სფეროს შეზღუდულობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო იმისა, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან მოსახლეობის მიგრაციული გაცვლის უარყოფითი სალდო აქვს. მარტო 1959-1979 წლებში რესპუბლიკიდან გავიდა დაახლოებით 200.000 კაცით მეტი, ვიდრე შემოვიდა. ამასთან წასულს შორის თანდათან მატულობს მკვიდრი ეროვნების ხვედრითი წონა. წინასწარი ცნობებით უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოდან სხვა რესპუბლიკებში წავიდა 43 ათასამდე ქართველით მეტი, ვიდრე დაბრუნდა თავის სამშობლოში.

მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციას სხვა რესპუბლიკებში ზოგრად აძლიერებს ქართველი ახალგაზრდობის მიერ არამშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღება, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის განაწილება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რადგან არ ხერხდება მათი დასაქმება რესპუბლიკის შიგნით. ამას ემატება სხვა რესპუბლიკებში უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდობა, რომელთა უმეტესი ნაწილი აღარ ბრუნდება თავის მშობლიურ ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, იმიგრაციის პრობლემა თითქოს აღარ უნდა გვქონდეს, მაგრამ მდგომარეობა არც ისე მარტივია და არც ერთმნიშვნელოვნად აიხსნება. ჯერ ერთი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ 50-იანი წლების მიწურულამდე გარე მიგრაციულ პროცესებს შებრუნებული ხასიათი ჰქონდათ — რესპუბლიკაში ჩამოსახლებულთა რაოდენობა ბევრად სჭარბობდა წასულთა რაოდენობას და სულაც არა ვართ გარანტირებული, რომ ეს პროცესი კვლავაც არ განახლდება. მეორეც, როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში მასობრივად თხოულობენ საქართველოში დაბრუნებას აქედან იძულებით წასული მესხეთის ყოფილი მცხოვრებლები. მესამეც, სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე გრძელდება არამკვიდრი მოსახლეობის მიერ სოფლად თუ ქალაქად მიწების მიტაცება, რაც ისედაც მცირემიწიანობის ვითარებაში კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული განვითარების ინტერესებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული და საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც საქართველოში მეურნეობის ექსტენსიური განვითარების შედეგად დიდი რაოდენობით ჩამოსახლდა სხვა ეროვნების, ნაკლებადკვალიფიცირებულ იმიგრანტთა დიდი რაოდენობა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მკვიდრი ეთნოსის სოციალურ-კულტურული განვითარების პროცესი, გამოიწვია ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება თავის სამშობლოში, ხოლო ზოგიერთ პროვინციებში მკვიდრი მოსახლეობა უმცირესობაშიც კი აღმოჩნდა. ჩვენივე დაუდევრობის შედეგად, წლების მანძილზე ვკარგავდით განათლებულ, მაღალკვალიფიციურ ინტელიგენციას და ვიმატებდით გაუნათლებელ, არაკვალიფიციურ მუშა ძალას. ყოველივე ამან კი დღეისათვის ბევრი ერთობ სავალალო ეკონომიკური და სოციალური პროცესების წინაშე დაგვაყენა. რესპუბლიკაში 60-იანი წლების შემდეგ შემოსული არაქართული მოსახლეობა მკვეთრად განსხვავდება როგორც მკვიდრი, ასევე ადრეულ წლებში ჩამოსული თავისი თანამემამულეებისაგან (რომელთაც აქ შეიძინეს განათლება) კულტურის, ცხოვრების წესის, ფასეულობათა ორიენტაციის საკითხებში.

ყოველივე ამან გაამწვავა ერთაშორის ურთიერთობა.

ბოლო წლებში ბევრად გაძლიერდა ქართველი ახალგაზრდობის წასვლა რესპუბლიკის გარეთ, რადგან მრავალი მათგანი ვერ შოულობს ადგილზე თავისი სპეციალობის შესაფერის სამუშაოს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნული გარემოება და ქართული ენის თანდათან გამოდევნა რესპუბლიკის საწარმოთა და დაწესებულებათა საქმისწარმოებიდან ხელს უწყობდა მკვიდრ მოსახლეობაში მოსწავლეთა არამშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღებას. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვინც არამშობლიურ ენაზე ამთავრებს სკოლას, პირველ რიგში ის მიილტვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ გზით ვკარგავთ ჩვენი ეროვნული სხეულის მნიშვნელოვან ნაწილს.

აღნიშნული უარყოფითი მოვლენები რომ დავძლიოთ, აუცილებელია რესპუბლიკის მეურნეობრივი და კულტურული განვითარება შესაბამებოდეს როგორც ჩვენს ბუნებრივ, ისე ადამიანთა რესურსებს, მათ რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს. უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე ჩვენ ნაკლებად ვუწევთ ანგარიშს ეროვნული განვითარების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას. პრობლემის შემადგენელი ნაწილია გარე და შიდა მიგრაციის მართვის საკითხი. კერძოდ, აქ თავისი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობის იმიგრაციის მოწესრიგებამ, რასაც ითვალისწინებს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის მიერ შემუშავებული და საჯაროდ განსახილველად წარმოდგენილი იმიგრაციის კანონის პროექტი.

რა გაეწყობა, მცირემიწიანი ქვეყანა ვართ, საკარმიდამო ნაკვეთების რესურსებიც ამოწურულია. საქართველოში კვლავაც ვეძებთ სამოსახლოებს, რომ დავაკმაყოფილოთ სტიქიური უბედურებით დაზარალებული სვანეთიდან და აჭარიდან გადმოხვეწილი ქართველები, რომლებიც ვაგონებში გვყავნან უმძიმეს პირობებში. ამიტომაც ეგრეთწოდებული „მესხეთელი თურქების" საკითხი ჯერჯერობით უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

რა თქმა უნდა, გადასაწყვეტია წლების მანძილზე რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველი ინტელიგენციის თხოვნა სამშობლოში ჩამოსახლების თაობაზე. უცხო გარემოში მოხვედრილთ მშობლიური ენის დაკარგვის, სხვა ხალხთან ადაპტაციისა და როგორც ქართველის გაქრობის საფრთხე ემუქრებათ. ამიტომ გვთხოვენ ისინი, გულთან მივიტანოთ მათი სატკივარი და დავაბრუნოთ სამშობლოში. ამდენად ეს საქმეც მოსაგვარებელია.

უნდა შევუწყოთ ხელი იჯარის განვითარებას სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მცირემიწიანობა აქაც პრობლემის წინაშე გვაყენებს. ჩვენმა კომისიამ ურჩია მინისტრთა საბჭოს და სახაგრომრეწვს, რომ მიწის ფონდი ძირითადად დარჩეს საზოგადოებრივი მეურნეობების მუდმივ მფლობელობაში და მიწა, გამონაკლისის სახით, მუდმივ სარგებლობაში გამოეყოთ მოქალაქეებს მხოლოდ რესპუბლიკის ახლადჩასახლებულ და აღდგენილ სოფლებში, მცირემიწიან, ჩრდილოეთის მაღალმთიან და რთული დემოგრაფიული სიტუაციის მქონე რაიონებში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს „მებაღეობა", რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და გამოასწოროს ქალაქელთა კატასტროფამდე მისული ეკონომიკური მდგომარეობა.

კომისიას მიაჩნია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობისას მეურნეობრიობის ახალ პირობებში საქართველოს მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარება მიმართული უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისაკენ.

კომისიის მიერ საჭირო განხილვისათვის წარმოდგენილი კანონის პროექტი იმიგრაციის თაობაზე ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის გარედან იმიგრანტთა შემოსვლას და დასახლებას.

მოსახლეობის იმიგრაციული პროცესის მართვის ღონისძიებანი ეკონომიკურთან ერთად რესპუბლიკის სოციალური და ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას უკავშირდება.

საქართველოს მოსახლეობის იმიგრაციული პოლიტიკა ჯანსაღ ეროვნულ საწყისებზე უნდა აიგოს, მკვიდრი ერის ბუნებრივი ინტერესების დაცვისა და სხვა ერების შესაბამისი ურთიერთპატივისცემის გათვალისწინებით.

კომისია სესიას სთხოვს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას გადასცეს განხილვისათვის წარმოდგენილი კანონის პროექტი იმიგრაციის შესახებ. ხოლო ამჟამად მიზანშეწონილად მიიჩნევს კონსტიტუციას დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი მუხლი: „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიგრაციის საკითხები წესრიგდება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ კანონმდებლობით". კომისია აგრეთვე შემოდის წინადადებით, რომ გაფართოვდეს მისი ფუნქციები და შემადგენლობა, იგი იყოს მუდმივმოქმედი და ეწოდოს „მიგრაციული პროცესების შემსწავლელი კომისია". აღნიშნული განპირობებულია რესპუბლიკაში ხალხთა მოსახლეობის გამწვავებული პრობლემებით, რომელთა გადაჭრა ერთობ საშური სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

და ბოლოს, ეს ყველაფერი წყალში ჩაყრილი საქმე იქნება, თუ რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) 69-ე მუხლი არ ჩამოყალიბდა ასე:

„საქართველოს სს რესპუბლიკას აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის უფლება.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ ამ უფლების გაუქმების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მისი შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საქართველოს სს რესპუბლიკა გასულად ითვლება სსრ კავშირის შემადგენლობიდან. საკითხს იმის შესახებ, იზღუდება თუ არა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, ან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტით საქართველოს სს რესპუბლიკის სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება, წყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო".

დეპუტატმა **ნ. ი. ლალიძემ** სესიას გააცნო საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია:

რესპუბლიკის კონსტიტუციაში სახელმწიფოს სუვერენიტეტის ასახვის პრობლემა [illegible] პრობლემა არ არის. [illegible] გლობალურია, რადგან ეხება სახელმწიფო დამოუკიდებლობის თითქმის ყველა სფეროს, როგორც ეკონომიკურს, ისე პოლიტიკურს, როგორც საშინაოს, ისე საგარეოს.

მხოლოდ საქართველოს რეალური სუვერენიტეტის კონცეპტუალური საფუძვლის შემუშავების შემდეგ შეიძლება დაისახოს მისი განხორციელების რეალური და უწინარეს ყოვლისა კონსტიტუციური გზები.

სამუშაო ჯგუფს დაევალა მეტად შრომატევადი და პასუხსაგები საქმე — შეიმუშაოს საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განხორციელების კონცეფცია ფედერაციის არსებულ პირობებში და დასახოს მისი მომავალი განვითარებისა და პერსპექტივის ძირითადი მიმართულებანი. ამ თვალსაზრისით გაწეულია მეტად შრომატევადი სამუშაო, რადგან იგი შეეხება კონსტიტუციის კონკრეტული მუხლების დიდ ნაწილს.

კომისია შეუდგა მუშაობას. დასახულია კონკრეტული ამოცანები. კომისიის ყველა წევრი მუშაობს რესპუბლიკის სუვერენიტეტის საკუთარ კონცეფციაზე. გროვდება ის მასალა, რაც უკვე შეიქმნა ამ საკითხთან დაკავშირებით მთელს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის პრობლემა სერიოზულ თეორიულ დამუშავებას მოითხოვს. რთულია თვით სუვერენიტეტის სადღეისო კონცეფციის შემუშავება, მისი კონსტიტუციურ ნორმებში გარდასახვა, შემდგომ კი პრაქტიკულად განხორციელება. ამიტომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის კვლევის ცენტრში შეიქმნა მეცნიერთა დროებითი გაერთიანება ე. წ. „მიზნობრივი საპრობლემო ჯგუფი", რომელიც დახმარებას უწევს სამუშაო ჯგუფს პრობლემების მეცნიერულ დამუშავებაში.

მხოლოდ 1990 წლის იანვარში დაამთავრებს კომისია წინასწარ სამუშაოს და წარუდგენს პრეზიდიუმს.

საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ **ზ. მ. რატიანმა** თავის ინფორმაციაში აღნიშნა:

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, მიმდინარე პროცესებმა მრავალ სხვა საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხთან ერთად დღის წესრიგში დააყენა ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენის და წვევამდელთა მიერ სამხედრო ვალდებულების საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხები.

საჯაროობისა და გარდაქმნის მადლით ამჟამად სწორედ ის დრო დადგა, როცა ყოველ გონივრულ მოთხოვნას ყურადღება, გონივრულად განჭვრეტა, გაანალიზება და შესაბამისი კონსტრუქციული მოსაზრების შემუშავება სჭირდება.

და აი, რესპუბლიკის ხელისუფლებამ ყურად იღო საზოგადოების მოთხოვნა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური კომისია შექმნა აღნიშნული პრობლემის დასამუშავებლად.

კომისიამ მოიძია და შეისწავლა ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა ხელთარსებული საარქივო და საკანონმდებლო მასალა. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს რამ განაპირობა, ან რის[illegible] დაეყრდნო უზენაესი საბჭოს სესიისადმი დადგენილების ასეთი პროექტის შემოთავაზება, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება და, ალბათ, საჭიროა კიდეც, მოკლედ მიმოვიხილოთ საკითხის ზოგიერთი მხარე.

საქართველოს გასაბჭოების პირველსავე პერიოდში რესპუბლიკაში შეიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული არმია, ანუ „ქართული წითელი ლაშქარი". იგი ექვემდებარებოდა საქართველოს სსრ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს იყო სრულიად სამართლიანი, ლოგიკური, რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესაბამისი აქცია. მაგრამ, 1922 წელს, ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით, აქ უწინარესად მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება, აღნიშნული შეიარაღებული ძალები დაექვემდებარა კავკასიის წითელდროშოვან არმიას ქართული მსროლელი დივიზიის სახით. ჩვენი აზრით, ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, მით უმეტეს იმ პერიოდისათვის. არავის ძალუძს დაგვარწმუნოს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში ეროვნულ შეიარაღებულ ძალთა არსებობა ხელს უშლიდა სახელმწიფო მშენებლობის მოთხოვნებს.

1924 წელს შეიქმნა მეორე ქართული მსროლელი დივიზია, აგრეთვე დაარსდა სამხედრო სკოლა, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული სამხედრო კადრების მომზადების საქმეში. შეფასების თვალსაზრისით კი მიგვაჩნია, რომ ამ წარმონაქმნებს, თუნდაც საერთო შეიარაღებულ ძალთა სისტემაში, ეროვნული თვითშეცნების ღირებულება ჰქონდა. დასახელებული დივიზიები საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის არაერთხელ დაჯილდოვდნენ საბრძოლო ორდენებით.

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 მარტის ერთობლივი დადგენილებით ეროვნული შენაერთები, სამხედრო სასწავლებლები გადაკეთდნენ სხვადასხვა საერთო საკავშირო საჯარისო შენაერთებად და მეთაურთა კადრები, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაიქსაქსა. განვლილმა დრომ დაადასტურა, რომ ამან მნიშვნელოვანწილად უარყოფითი გავლენა მოახდინა შეიარაღებული ძალების ინტერნაციონალურ მშენებლობაზე. სამამულო ომის დროს კვლავ დადგა ასეთი ფორმირებების საჭიროება. ამის კვალობაზე სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით „საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ეროვნული შენაერთების შექმნის შესახებ" ჩამოყალიბდა ეროვნული სამხედრო შენაერთები. ეროვნულმა შენაერთებმა, რომლებმაც დიდ სამამულო ომში გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, ფაქტობრივად იარსებეს 50-იანი წლების დასასრულამდე. ხაზგასასმელია ისიც, რომ მათი გაუქმება მოხდა დაუოკებელი სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პერიოდში. თანაც ყოველივე ეს საკანონმდებლო გზით არ მომხდარა. ესეც ჩვენი ერის ცხოვრებაში 1956 წელს დატრიალებულ უბედურებასთანაა დაკავშირებული.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ არ აითვისა წინა კონსტიტუციით აღიარებული ეს უფლება, რითაც ვფიქრობთ, შეილახა რესპუბლიკათა ეროვნული ინტერესები, როგორც მათი სუვერენული სტატუსის შემადგენელი ნაწილი.

წლების მანძილზე სამხედრო საკადრო პოლიტიკაში დაშვებულმა გადახრებმა, ეს კი ახლა საყოველთაოდ ცნობილია, გამოიწვია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში კვალიფიციური ეროვნული სპეციალისტების მინიმუმამდე შემცირება. ამის გამოა, რომ ამჟამად საქართველოს მთელი რიგი სამხედრო რაიონული კომისარიატების ხელმძღვანელი თანამდებობების დაკომპლექტება ხდება არაქართველი ოფიცრებით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს წვევამდელთა დიდი ნაწილის განწესება ხდება მუშათა და სამშენებლო ბატალიონებში იმ მოტივით, რომ წვევამდელები სათანადოდ არ ფლობენ რუსულ ენას და ამდენად ისინი ვერ ითვისებენ თანამედროვე სამხედრო ხელოვნებას, ვერ აღწევენ საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას.

წვევამდელების მცირე ნაწილი იგზავნება ისეთ სამხედრო სასწავლებლებში, რომელთა დამთავრების შემდგომ სპეციალისტებისათვის არ არსებობს ზრდის პერსპექტივა. წვევამდელთათვის კლიმატური პირობების გათვალისწინება ხომ საერთოდ არ არსებობს და ხელაღებით ხდება შორეულ რაიონებში მათი დაქსაქსვა.

არმიაში გაწვეულთა წერილებიდან ირკვევა, რომ არის მათ მიმართ არაჯანსაღი, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი გამოვლინებების შემთხვევები, როგორც რიგითი ჯარისკაცების, ასევე ოფიცრების მხრივ, რაც შემოწმებით არაერთხელ დადასტურდა.

სამწუხაროდ, ეს, არცთუ იშვიათად, ტრაგიკულად მთავრდება.

და ბოლოს ჩვენი აზრით, ერთი მნიშვნელოვანი დებულებაც, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს დღევანდელ მოთხოვნას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერის სულიერ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული სამხედრო ფორმირების არსებობას ისეთივე სასიცოცხლო ძალა, უცილობელი მორალური მნიშვნელობა აქვს, როგორც ყველა დანარჩენ ეროვნულ კომპონენტს. იგი აყალიბებს და აწესრიგებს ეროვნული ყოფიერების მრავალ მხარეს. სამხედრო ფორმირება ერთ-ერთი პირობაა სახელმწიფოს არსებობისა და სუვერენიტეტისა.

ამიტომ კომისიას მიაჩნია, რომ ამ მხრივ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნა ეროვნული სამხედრო ფორმირების შექმნის და წვევამდელთა მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ვალდებულების მოხდის შესახებ სრულიად საფუძვლიანია, კანონიერია და იმსახურებს ყოველმხრივ ყურადღებას. ამიტომ იგი, უეჭველად, რეალიზებული უნდა იქნეს. ეს სავსებით შეესაბამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმას და კონცეფციას რესპუბლიკის ეროვნული განვითარების შესახებ. მაგრამ რა გზით? მხედველობაშია მისაღები, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და ვარსებობთ ფედერაციული გაერთიანების პირობებში. ამიტომ ეროვნული სამხედრო ფორმირების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სისტემაში. ეს უნდა ყველამ გონივრულად გაგვიგოს და სხვა მოთხოვნა-წინადადება ამ ეტაპზე უპერსპექტივო იქნება.

კომისია გამოთქვამს იმედს, რომ დეპუტატები მხარს დაუჭერენ წარმოდგენილ წინადადებებს.

ვითარება, რომელმაც განაპირობა აღნიშნული კომისიის შექმნა, პატივცემული დეპუტატებისათვის კარგადაა ცნობილი, — თქვა 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ა. დ. ალექსიძემ**. ეს არის უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი ინტერესის გამძაფრება იმ მოვლენებისადმი, რომელთაც 20-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად შეცვალეს საქართველოს ცხოვრებისა და განვითარების მიმართულება, სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ შემოქმედებითი ორგანიზაციათა მიერ გამოთქმული სურვილი ამ მოვლენების ოფიციალურად მიღებულ და დამკვიდრებულ შეფასებათა გადაფასებისა.

კომისიისათვის იმთავითვე იყო ნათელი, რომ მის წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად საჭირო იქნებოდა საკითხთა უფართოესი წრის გათვალისწინება, რომელთაგან ბევრი იყო დღემდე სრულად შეუსწავლელი, ან ცალმხრივად, ტენდენციურად გაშუქებული, რომ აქ იყო საკითხების მთელი კომპლექსი, დაკავშირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ესოდენ ხანმოკლე, მაგრამ ეგზომ დაძაბულ პოლიტიკურ-კულტურული მოვლენებით აღსავსე ისტორიასთან.

საქართველოს ბედი წყდებოდა პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლიდან გამოსული და ოქტომბრის რევოლუციით ამოძრავებული სამყაროს რთულ პოლიტიკურ სინამდვილეში, რუსეთის, ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის ეკონომიკურ, სამხედრო, დიპლომატიურ ინტერესთა გადაკვეთაზე. ამიტომ იმხანად შექმნილი სურათის აღსადგენად აუცილებელი იყო ფართო და მრავალენოვანი დოკუმენტაციის — საბჭოთა და უცხოური წყაროებისა და გამოკვლევების, საარქივო საბუთების, ემიგრანტული ლიტერატურის და სხვა მასალის გათვალისწინება.

დასკვნა, რომელსაც კომისია წარმოუდგენს საქართველოს უზენაეს საბჭოს, ჩამოყალიბებულია ამ ფართო მასალის ანალიზის, მეცნიერთა — ისტორიკოსთა და იურისტთა შორის აზრთა გაზიარების, მრავალსაათიანი დაძაბული და შინაარსიანი სხდომების შედეგად. კომისიას ესმის, რომ პრობლემა შეიძლება იყოს გამოკვლეული კიდევ უფრო მეტი სიღრმითა და სიფართოვით, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი თუნდაც კომისიის ხელთ უკვე არსებული საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის არქივებში მოპოვებული მთელი მასალა, ყველა ამ დოკუმენტის შესწავლა, ბუნებრივია, უნდა გაგრძელდეს და ეს მასალა, კომისიის აზრით, მისი საგანგებო დამუშავების შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს ცალკე კრებულად. ამავე დროს კომისიას მიაჩნია, რომ იმის საფუძველზე, რაც უკვე გამოვლენილი და გამოკვლეულია, სავსებით შესაძლებელია 1921 წლის მოვლენებზე პრინციპული შეხედულების ჩამოყალიბება.

შემდეგ დეპუტატი აცნობს სესიას კომისიის დასკვნის ძირითად შინაარსს. დასკვნის პირველ გვერდებზე, ამბობს იგი, მიმოხილული და შეფასებულია ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე, მტრებით გარემოცული ქვეყნის ისტორიული განვითარების მთავარი ეტაპები და პროცესები. შემდგომ მოცემულია ამ რთული ისტორიული პროცესების ანალიზი, რომლებიც მიმდინარეობს ამიერკავკასიაში რუსეთის, თურქეთის, გერმანიის, ინგლისის მონაწილეობით. განხილულია პოლიტიკურ-სოციალური ვითარება, რომელმაც შეაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

„117 წლის წინათ დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, — ნათქვამია ტექსტში, — წარმოადგენდა ბუნებრივი ისტორიული პროცესის დაგვირგვინებას, დიდი მნიშვნელობის პროგრესულ მოვლენას ერის ისტორიაში".

ტექსტის დიდი ნაწილი ეთმობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთთან რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობის განხილვას — ხელშეკრულებამდე და მისი დადების შემდეგ. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დახასიათებულია როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტი, რომელშიც გამოხატულებას პოვებდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპები. საბჭოთა რუსეთი ხელშეკრულებით ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, კისრულობდა ვალდებულებას არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში. ხელშეკრულებამ განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით, გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის ნდობა, რასაც მოყვა მისი ცნობა 1920-21 წლების მანძილზე რიგ სახელმწიფოთა მიერ.

მეორეს მხრივ, კომისიის დასკვნაში განხილული და გაანალიზებულია საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულების მეორე ხაზი — აქციებისა და დოკუმენტების წყება, რომელიც ადასტურებს ჯერ კიდევ 1917 წლიდან დასახული იდეის — საქართველოს გასაბჭოების მიზანდასახულ, თანამიმდევრულ განვითარებას. დეტალურად არის გაანალიზებული 1921 წლის თებერვლის ინციდენტი ლორეს ნეიტრალურ ზონაში, რომელიც ინსპირებულ აქციად, საქართველოში ჯარის შემოყვანის საბაბადაა მიჩნეული.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება სრულიად კონკრეტული ისტორიული ვითარებისა და მხარეთა გარკვეული პოლიტიკურ-სტრატეგიული მდგომარეობის შედეგია. ამიტომ ხელშეკრულების დარღვევის შეფასებისას აუცილებელ პრინციპადაა მიჩნეული იმდროინდელი ისტორიულ-პოლიტიკური კონცეფციებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინება.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ოფიციალურ განცხადებებში, მემორანდუმებსა და მოხსენებით ბარათებში მკაფიოდ იყო გამოთქმული მის მიერ 1921 წლის თებერვლის მოვლენების შეფასება, საბჭოთა რუსეთის მთავრობას ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან უხეშად დაარღვია დამოუკიდებელი და სუვერენული რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი. უგულებელყო მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი და დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება ომის გამოუცხადებლად. რაიმე სერიოზული მიზეზის გარეშე.

ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წადილი — მოეპოვებინა ევროპის დიდი სახელმწიფოებისა და მათი გავლენის სფეროში მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერა საქართველოს დამხობილი დემოკრატიული წეს-წყობილების აღდგენისათვის ბრძოლაში ამაო აღმოჩნდა — ინგლისი და საფრანგეთი ერიდებოდნენ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გართულებას.

საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებაში თავი იჩინა იმ შინაგანმა წინააღმდეგობრიობამ, რომელიც ახასიათებდა საბჭოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკას ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

1917-1921 წლებში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლიდერები პირდაპირ აღიარებდნენ კლასობრივი სოლიდარობის, რევოლუციური მართლშეგნების უპირატესობას ყველა სხვა პრინციპთან შედარებით და ერთა თვითგამორკვევის უფლებას ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ. ოქტომბრის რევოლუციის პირმშო — საბჭოთა რუსეთი, რომელიც კისრულობდა ისტორიულ მისიას — გაეთავისუფლებინა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხები მემამულეთა და კაპიტალისტთა ჩაგვრისაგან, თუნდ შეიარაღებული ჩარევის გზით, ამ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ ასეთი აქცია რამდენად შეესაბამებოდა „ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართალს".

რკპ (ბ) პოლიტბიუროში საქართველოსთან ომის დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნდათ „ინტერნაციონალური ვალის" მოხდა, რაც აჯანყებული მშრომელებისათვის დახმარების გაწევაში უნდა გამოხატულიყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაჟინებულ მოთხოვნას — აეხსნათ საქართველოში წითელი არმიის შეჭრის მიზეზი, საბჭოთა მთავრობამ უპასუხა ნოტით, რომლითაც მას ბრალი ედებოდა „ლორეს ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებთა მიმართ რეპრესიების გატარებაში, რამაც თითქოს ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია" (გ. ჩიჩერინის ნოტა, 1921 წლის 18 თებერვალი).

საქართველოში წითელი არმიის რამდენიმე მხრიდან შეჭრა და ამ მოტივით თბილისის აღება ნაკლებ დამაჯერებელი ჩანდა. ამიტომ შემდგომ ამ აქციის, ომის დაწყებას, მიეცა სხვა მოტივირება — ინტერნაციონალური ვალის მოხდის აუცილებლობა.

1921 წლის თებერვლის აქციის ნამდვილი მიზანდასახულობა კი მჟღავნდება ი. სტალინის, ლ. ტროცკის, გ. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძისა და ბ. ლომინაძის გამონათქვამებში, რაც კომისიის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების ერთ-ერთ უმთავრეს, ამოსავალ პრინციპად არის მიჩნეული, — ამბობს ა. ალექსიძე.

მართალია, იურიდიულად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ინარჩუნებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს, რომელიც ცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით და დაადასტურა საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციამაც, მაგრამ ეს იურიდიული ფორმა არ ასახავდა პოლიტიკურ სინამდვილეს. საქართველოში წითელი არმიის ყოფნა ზღუდავდა ქართველი ხალხის მიერ თავისი პოლიტიკური ნება-სურვილის გამოხატვის შესაძლებლობას. კომისიის აზრით საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტიდან შექმნილი ვითარება არსებითად შეესატყვისება ანექსიის იმ განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია ვ. ლენინისეულ „დეკრეტში ზავის შესახებ".

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ კომუნისტთა ერთი ნაწილი („ნაციონალ-უკლონისტები") უკმაყოფილებას გამოთქვამდა რეალური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო. ისინი იბრძოდნენ საქართველოს იურიდიულად განმტკიცებული დამოუკიდებლობის შეზღუდვის, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამ ფედერაციის მეშვეობით სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგ. არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში „ნაციონალ-უკლონისტების" ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია.

ასეთია დასკვნა, მიღებული ჩვენი კომისიის წევრთა საერთო თანხმობით. მას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი ორის გამოკლებით, რომლებიც ამჟამად უცხოეთში იმყოფებიან, აღნიშნა დასასრულ ა. ალექსიძემ.

1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოსაკვლევად შექმნილი კომისიის დასკვნა სესიას წარუდგინა ამ კომისიის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა **ე. ნ. შენგელაიამ**.

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების ინფორმაციები

(დასასრული)

მიმდინარე წლის 9 აპრილს საქართველოს დედაქალაქში დატრიალებულმა ტრაგედიამ, აღინიშნა მან, შეძრა ქართველი ერი, საყოველთაო გლოვა და აღშფოთება გამოიწვია. ხალხის წინააღმდეგ მოწყობილმა ამ ბარბაროსულმა აქციამ, რომელიც შეიცავდა უდანაშაულო ადამიანების ორგანიზებული, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ნიშნებს, აუცილებლობით მოითხოვა მისი ყველა გარემოების გამოკვლევა, დამნაშავე პირების დადგენა და, რაც მთავარია, იმ მიზეზების სააშკარაოდ გამოტანა.

კომისიამ უაღრესად დაძაბული, ამასთანავე ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაო შეასრულა. თავისი საქმიანობის 6 თვის მანძილზე გამართა 20 სხდომა, შეისწავლა ასობით მოწმეთა, დაზარალებულთა, შემთხვევის ადგილზე მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების, აგრეთვე მედიცინის მუშაკების ჩვენებები, მოისმინა საქართველოს პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებანი, გამოიყენა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილ კომისიაზე საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის და სხვა სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ჩვენებები. გააანალიზა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მინისტრთა საბჭოსა და სხვა ორგანოებში არსებული დოკუმენტური მასალა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, აგრეთვე სსრ კავშირის და საზღვარგარეთის მეცნიერ-სპეციალისტთა დასკვნები. კომისია გაეცნო 9 აპრილის მოვლენათა ამსახველ მრავალ ვიდეოფირს, ფოტო მასალასა და სხვა ნივთმტკიცებებს. მოვლენათა სრული შეფასების მიზნით კომისიამ შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი 9 აპრილის გარემოებებთან დაკავშირებით, რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთის პრესა.

შეგროვილი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება ქვეკომისიების დასკვნების სახით სისტემატურად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ გაზეთებში, შუქდებოდა ტელევიზიით, რადიოთი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კომისიის მუშაობაში მაქსიმალურად იყო დაცული საჯაროობის პრინციპები. ხალხს საშუალება ჰქონდა არა მარტო თვალყური ედევნებინა კომისიის საქმიანობისა და მისი შედეგებისათვის, რასაც, ჩვენი აზრით, გარკვეული დადებითი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში ამ პერიოდში შექმნილი მძიმე მდგომარეობის განმუხტვისათვის, არამედ აქტიური ქმედითი მონაწილეობა მიეღო, საკუთარი წვლილი შეეტანა ტრაგედიის ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენაში.

9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ 18 სექტემბერს დაასრულა მუშაობა და თავისი დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, წარუდგინა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. დასკვნა გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთებში. მისი ასლები დეპუტატებს დაურიგდათ.

უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნისა და ჩვენი კომისიის დასკვნის დებულებები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, როგორც ტრაგედიის ფაქტიურ გარემოებათა დადგენის, ისე მათი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისით, ხაზგასმით აღინიშნა ე. ნ. შენგელაიამ.

ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში, თქვა მან შემდეგ, მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ტოტალიტარიზმისა და უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ხალხის ფართო მასების პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც სულ უფრო ხშირად ვითარდებოდა უშუალო დემოკრატიის ფორმებით (მანიფესტაციით, დემონსტრაციით, მიტინგებით) და მიმართული იყო რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური მოპოვებისაკენ, რესპუბლიკის ყოფილმა ხელმძღვანელობამ მიიჩნია ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციის მცდელობად. შეცვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შეძლეს სწორი პოლიტიკური კურსის შემუშავება, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება, ვერ გამონახეს საერთო ენა უკვე ჩამოყალიბებულ და სოციალურად არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან, რამაც გამოიწვია ხელმძღვანელობისა და ხალხის პოზიციების სრული პოლარიზაცია.

შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიმართა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის ჩვეულ, მრავალნაცად მეთოდს — ძალადობას.

ძალის გამოყენების ნებართვა და შესაბამისი დახმარება ეთხოვა ცენტრს. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ 1988 წლის ნოემბრის კრიზისის დროს ასეთი თხოვნა ცენტრმა არ დააკმაყოფილა და დაძაბული მდგომარეობის განმუხტვა შესაძლებელი გახდა პოლიტიკური მეთოდებით (გავიხსენოთ ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა ქართველი ხალხისადმი), ამჯერად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს ლიგაჩოვისა და ჩებრიკოვის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომებზე გადაწყდა საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარის ნაწილებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის დახმარების აღმოჩენა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად მშვიდობიანი მრავალათასიანი მიტინგის აღკვეთის აქციას, როგორც ცნობილია, უხელმძღვანელა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილმა სარდალმა, გენერალმა ი. როდიონოვმა, რომელმაც იგი ჩაატარა როგორც სამხედრო ოპერაცია და ქართველი ერის ისტორიაში კიდევ მერამდენედ, ახალი ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა.

კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ კანონიერების უხეში დარღვევები იქნა დაშვებული როგორც რესპუბლიკაში, ისე ცენტრში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების აღსრულების, კომენდანტის საათის შემოღების და განხორციელების დროს.

ტრაგედიის ყველა გარემოების გათვალისწინებით კომისიამ შემდეგი სახის საბოლოო დასკვნა გამოიტანა: „9 აპრილს თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულის, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს“.

მოსმენილი ინფორმაციებისა და დასკვნის გამო სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ გადაწყვიტა შექმნას მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მუდმივი კომისია. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ბაკურ გულუა.

სესიაზე გადაწყდა აგრეთვე, რომ შექმნილიყო იმიგრაციის საკითხთა მუდმივი კომისიაც. მისი შექმნის საჭიროება განაპირობა რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის დღევანდელმა ვითარებამ. ამ საკითხზე სესიაზე მსჯელობისას გამოიკვეთა მიგრაციული პროცესების მრავალი ასპექტი, რომელთა ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა მოუწევთ ახლად არჩეულ იმიგრაციის საკითხთა კომისიასა და მის თავმჯდომარეს — დეპუტატ თემურ ჩხეიძეს.

საზოგადოების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა შორის არასაწესდებო ურთიერთობის გავრცელების ფაქტები. არის შემთხვევები, როდესაც კონფლიქტების შედეგად სამხედრო მოსამსახურეები თვითნებურად ტოვებენ სამხედრო ნაწილებს. არის სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესების დარღვევის სხვა ფაქტებიც. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება დეპუტატ რიხმაგ გორდეზიანის თავმჯდომარეობით შეიქმნას საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის მუდმივი კომისია.

ბუნებისადმი ადამიანის არასწორმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ დღეს სავალალო ეკოლოგიური სიტუაციაა შექმნილი თითქმის მთელ პლანეტაზე. რთული ვითარებაა საქართველოშიც. სესიამ საჭიროდ ცნო ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისია გარდაიქმნას ეკოლოგიის საკითხების კომისიად. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი ირაკლი გვერდწითელი.

დღემდე რესპუბლიკაში არ არის შემუშავებული კანონი, რომელიც განსაზღვრავს რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) წესს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა სესიას, შექმნილიყო რეფერენდუმის წესის შესახებ კანონის შემმუშავებელი კომისია და მის თავმჯდომარედ არჩეულიყო დეპუტატი ნიკო ჭავჭავაძე. სესიამ განიხილა და დასტური მისცა პრეზიდიუმის ამ წინადადებას.

სესიამ ასევე დაამტკიცა ენის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის შემმუშავებელი კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ჯანსულ ჩარკვიანი.

გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის თანამედროვე პირობებში უფრო მეტად გამოიკვეთნენ მთელი რიგი ორგანოები და ცალკეული თანამდებობის პირნი, რომელნიც არ იჩენენ საკმაო გულისხმიერებას მოქალაქეთა საჩივრების მიმართ, რაც აიძულებთ მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმართონ რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანოებს. ამ საკითხების მოსაგვარებლად სესიამ საჭიროდ ცნო შექმნილიყო ხანგრძლივად მომჩივან მოქალაქეთა ჯგუფის განცხადებების შემსწავლელი კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დეპუტატი ნოდარ ნათაძე.

სესიამ ასევე საჭიროდ ცნო შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისია. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა დეპუტატ ელდარ შენგელაიას.

(საქინფორმი).

ქველმოქმედება

ნეტა გადაგვახდევინა ვალი!

ჯავახეთი და „ჯავახეთი“

ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა ჯავახეთიდან წერილი მოგვწერა. რა მოხდაო, ხალხო, გვეკითხებიან, მთელი საქართველო ისე მოაწყდა ჯავახეთს, როგორც ევროპელები ახლად აღმოჩენილ ამერიკასო.

დიდი ამბები მოხდა, ბატონებო, რომელიც ერთი მოგახსენოთ. თავიდათავი მაინც ის არის, რომ ამდენი ხნის უგზო-უკვლოდ ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა გამოჩნდა მართალი ილიას მართალი გზა. როგორც იქნა დავრწმუნდით, „მარტო თვითმოქმედება გვიხსნის ამ საცოდაობიდან და სხვა არაფერი“ (ილია). ამ გზამ, ამ რწმენამ მოგვიყვანა ჯავახეთშიც.

სამშობლოს ვეძებთ, დაკარგულ სამშობლოს და მასში ჩაკარგულ ქართველებს. მამული და ფუძე უნდა დავიმკვიდროთ, კერა გავიჩაღოთ, გულის სითბო გაწილადოთ, სულის მხნეობა შთავბეროთ.

ასეთი საქმე გვაქვს ჩაფიქრებული, და თუ ყველაფერი ისე ვერ გამოგვდის, როგორც გვინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სურვილისა და მონდომების გარდა საქმეს ცოდნაც უნდა. „ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვერიოთ, როგორ ვუპატრონოთ“ (ილია).

ისედაც ბევრი ცოდვა გვაწევს და ზედმეტს ნურავინ აგვკიდებს. თვითმმართველობას რომ დიდი წარმატება არა აქვს ჩვენში, ისტორიის ბრალია და ისტორიამ უნდა მოგვიტევოს.

ჩვენში დარჩეს და, მთლად უჩვეულო არაფერი მომხდარა, ისე როგორც თითქმის ყველაფერში, სიქველეშიც ვერ მოვზომეთ, მადლს „ზედმეტი მარილი“ მოვაყარეთ და... დავამლაშეთ. ქველმოქმედებას მოწყურებული ხალხის დაოკება შეუძლებელი გახდა, ჯავახეთის მიმართულებით განუწყვეტელ ნაკადად დაიძრა სურსათ-სანოვაგით, საოჯახო თუ სამრეწველო ნაწარმით დატვირთული ავტოკოლონები. ახალქალაქის „აჭარელთა ჩასახლების შტაბი“ და სოფლის თავკაცები ერთთავად საჩუქრების განაწილებით აღმოჩნდნენ დასაქმებულნი. „ხალხური ქველმოქმედება“ უმართავი და საშიში გახდა, საჩუქრების განაწილებასთან დაკავშირებით, ზოგიერთ სოფელში ექსცესები კრიმინალის ზღვარზე განვითარდა.

„ჯავახეთის“ გამგეობამ არაერთგზის მიმართა საზოგადოებას, თავი შეეკავებინა სტიქიური ქველმოქმედების მანკიერი პრაქტიკისაგან. ჩვენმა შეგონებამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი.

ის, ვინც საქველმოქმედო მისიით ერთხელ მაინც ყოფილა ჯავახეთში, საკუთარი გამოცდილებითაც უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქველმოქმედება გულუხვობისა და კეთილი ნების გარდა, უდიდეს კულტურას მოითხოვს; უნდა გაეცნობიერებინა, რომ ქველმოქმედება სიკეთე კი არა, ბოროტებაა, როცა ნებსით თუ უნებლიეთ სახიფათოდ აშიშვლებს ქვენა გრძნობებს; უნდა მიმხვდარიყო, რომ ქველმოქმედება სამართლიანობის გარეშე აზრს კარგავს.

ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება, მაგრამ არ შეიძლება ანგარიშმიუცემლად ერთს ბედაური აჩუქო და მეორეს ჯაგლაგი. კეთილი განზრახვით დათესილი შური მხოლოდ სიბრიყვე რომ იყოს, სალაპარაკოდაც არ ეღირებოდა.

როგორ ავუხსნათ „ექსკურსანტ ქველმოქმედს“, რომ ქველმოქმედება უაღრესად საპასუხისმგებლო, ეროვნული მნიშვნელობის საქმეა და არა გასართობი, თავშესაქცევი, სასეირო „კულტმასობრივი“ ღონისძიება.

როგორ ავუხსნათ თავხედებს, რომ სოფლის მოედანზე, ყველას დასანახად, ყველას თვალწინ, წითელი თუმნიანების აფრიალება არ შეიძლება, რომ ამაყი მთიელი პროვინციული ქორწილის მეზურნე არ არის.

საბედნიეროდ და საიმედოდ, იმაშიც დავრწმუნდით, რომ მადლის ქმნის ნიჭი და ხელოვნება მთლად არ გადაქარებულა ჩვენში. ბევრმა, საკმაოდ ბევრმა მოახერხა ისე გაეცა სიკეთე, რომ ამას ვისიმე ადამიანური ღირსება არ შესწირვოდა. ძალიან იოლად და მარტივად გაკეთდა ყველაფერი. საჩუქრებით სავსე თითოეულ ყუთს, თითოეულ შეკვრას, თითოეულ ნივთს რომ კონკრეტული ადრესატი ჰყოლოდა, მათ არ დაიზარეს და ან „რიგგარეშე“ ჩავიდნენ ჯავახეთში, ან კიდევ, ჯავახეთში წასვლამდე შემოგვიარეს „ჯავახეთში“, ამბავი გაიგეს, განზრახვა გაგვანდეს, რჩევა და დაკვალიანება გვთხოვეს. გული გულობდეს, თორემ...

რაც იყო, იყო... ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეტყობა, ეშველება.

ახლა იმაზე ვიფიქროთ, „უსაშველოს“ როგორ დავაყენოთ საშველი. არადა, ლაპარაკია საქმეზე, რომლის მოგვარებას, საღი აზრის გარდა არაფერი სჭირდება თითქმის.

საზოგადოებრივი ქველმოქმედება, ინდივიდუალურისაგან განსხვავებით, გარკვეულ ორგანიზაციას მოითხოვს. სოფლის აშენება რომ ყველას გვინდა, ამაზე უკეთესს რას ინატრებს კაცი, მაგრამ სოფლის ამშენებლები ხომ უნდა შევთანხმდეთ, სად ვაშენოთ, რა ვაშენოთ, როგორ ვაშენოთ, ვინ რა აშენოს, ვინ რას მიხედოს, ვინ ვის უპატრონოს? „ნუთუ ბოლო აღარ უნდა მოეღოს ბზარვას და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხედია. გვეყო ბატონებო, გვეყო!“ (ილია).

მართლაც, ხომ არ გვეყო, ბატონებო?!

ერთი სოლიდური ორგანიზაცია ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში აშენებს... წიგნის მაღაზიას, რომელიც 85000 მანეთი ჯდება. თავი დავანებოთ ამ მაღაზიის სავაჭრო ოპერაციათა მოცულობას, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში, ის მაინც ვიკითხოთ, მოახერხებს კი ჯავახი გლეხი აქ ნაყიდი წიგნის წაკითხვას იმ მიწურში, რომელშიც ასოებს კი არა, დღისით-მზისით, ერთმანეთს ვერ სცნობს ჯალაბობა. არადა, ოთხმოცდახუთიათასად ორ სახლს ავაშენებდით, ორ კომლს გამოვიყვანდით მიწურიდან.

ღმერთმა მოგვასწროს იმ დროს, რომ ყოველ სოფელში წიგნის მაღაზია გვქონდეს, მაგრამ დღეს, როცა ყველა ჭრილობამ ერთად მოიხსნა პირი, როცა დღეც არ გადის, რაიმე თავსატეხი და თავშესაცემი არ გამოგვიჩნდეს, როცა ათასობით უსახლკარო შველას ითხოვს, ხალხი კი უკანასკნელ კაპიკებს ითვლის, ვფიქრობ, არ უნდა გვქონდეს უფლება, აზნაურული დარდიმანდობით ვფლანგავდეთ ეროვნულ დოვლათს.

გულმოწყალე ხალხი არც დროს არც ენერგიას, არც სახსრებს არ იშურებს ჯავახეთის აღორძინებლად. ასეთ პირობებში ქველმოქმედთა ელემენტარული კოორდინაციაც კი საკმარისია იმისათვის, რომ უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში არსებითად გადავჭრათ ჯავახეთის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ამთავითვე უარი ვთქვათ იმპროვიზირებულ „საჩუქრების სისტემაზე“. საბოლოო მიზნიდან გამომდინარე, ქველმოქმედების ყველაზე მისაღებ, ყველაზე ოპტიმალურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ შეწირული თანხის კონცენტრირება და მისი გამოყენება პირდაპირი დანიშნულებით... სახსრები, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოხმარდეს რეგიონში მძლავრი სამეურნეო ბაზის შექმნას, რომლის საფუძველზეც გლეხს მიეცემა არათუ მარტივი, არამედ გაფართოებული წარმოების შესაძლებლობაც.

გლეხს თუ სანიმუშო მეურნეობას მოვუწყობთ (სახლ-კარს ავუშენებთ, გომურსა და საბძელს დავუდგამთ, ცხვარ-ძროხას ვუყიდით, სამეურნეო ტექნიკით შევაიარაღებთ), მას ჩვენგან აღარავითარი „საჩუქარი“ არ დასჭირდება, საკუთარი შრომით დადგება ფეხზე, მომაგრდება, მოღონიერდება და აქეთ გვიპატრონებს.

სამწუხაროდ, ქველმოქმედების დღევანდელი პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ ამ მხრივ დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიხდება. საქველმოქმედო ორგანიზაცია სახსრების მისაზიდად იყენებს თითქმის ერთადერთ მეთოდს — შეგონებას.

ეროვნული აღმავლობის დღევანდელ ეტაპზე, უთუოდ გაჭრიდა ეს მეთოდი, ეჭვი რომ არ აწვალებდეს ხალხს. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ დრო შეიცვალა და ულვაშის ღერს თამასუქად კარგა ხანია არავინ იღებს. „უანგარიშო ანგარიშმა“ ისე გაუტეხა სახელი ყოველგვარ „ანგარიშს“, რომ ხალხი სათოფეზე აღარ ეკარება.

სწორადაც იქცევა. სანამ ანგარიშს არ ვისწავლით, „ანგარიშის“ იმედი არ უნდა გვქონდეს. ხალხმა უნდა იცოდეს, ვის და რას ხმარდება მისი ნაოფლარი.

რა ვიღონოთ?

„ჯავახეთმა“ წინასწარ გაითვალისწინა „მოსალოდნელი“ შედეგები და წესდებაში საგანგებოდ შეიტანა რამდენიმე მუხლი, რომლებიც უკეთური ეჭვებისათვის არ უნდა ტოვებდნენ რაიმე საფუძველს:

„ასოციაციაში გაერთიანებული ორგანიზაციები უშუალოდ მონაწილეობენ საქველმოქმედო ღონისძიებათა დაგეგმვასა და რეალიზებაში“.

„ჯავახეთის“ გამგეობა სისტემატურად გამოაქვეყნებს ასოციაციის ფინანსური საქმიანობის დაწვრილებითს ანგარიშს“.

„ასოციაციის დოკუმენტაცია ღიაა არა მარტო სარევიზიო კომისიისათვის, არამედ საზოგადოების ნებისმიერი წევრისა და ნებისმიერი ოპონენტისათვის“.

მეტი ვერაფერი მოვიფიქრეთ. თუ ვინმეს შემუშავებული აქვს კონტროლის უფრო საიმედო და ეფექტიანი სისტემა, გვიკარნახოს — ასოციაცია უყოყმანოდ მიიღებს მას. უფრო მეტიც, ასოციაციის აზრით, ქველმოქმედის კომპეტენცია მხოლოდ კონტროლით არ უნდა შემოიფარგლოს. მისი უფლებები გაცილებით ფართო, რეალური და ხელშესახები უნდა იყოს. კერძოდ, სრულიად მისაღებად გვეჩვენება, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა თუ კერძო პირებმა ასოციაციის ანგარიშზე მიზნობრივი დანიშნულებით შემოიტანონ თანხა და ამ თანხის ფარგლებში თვითონვე განსაზღვრონ, რა კონკრეტული პრობლემის მოგვარებას მოხმარდეს იგი.

თავიდან ჩვენი ასოციაცია ჩაფიქრებული იყო როგორც „სტიქიით დაზარალებულთა დამხმარე საქველმოქმედო საზოგადოება“. მალე აშკარა გახდა, რომ ყველაზე საშური, გადაუდებელი, სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმე ჯავახეთის ახალმოსახლეთა პატრონობა იყო, შემდეგ „გამოირკვა“, რომ ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობაც არ ყოფილა უსახლკაროდ დარჩენილ აჭარლებზე უკეთეს დღეში. ამიტომაც იყო, რომ ასოციაციის მასშტაბი დავავიწროვეთ და ეს მის სახელწოდებაშიც აისახა. და მაინც, ასოციაციის სახელწოდება („ჯავახეთი“), გარკვეულწილად, დროებითი და პირობითია. ჩვენ დღესაც, როგორც კი ამის საშუალება გვეძლევა, ვცდილობთ მცირე დახმარება მაინც გავუწიოთ საქართველოს სხვა რეგიონებში მოხვედრილ დამეწყრილ აჭარლებსაც. ამას წინათ ხულოს რაიონში დროებით დარჩენილთათვის 42000 მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი გაიგზავნა (ქველმოქმედი — საქართველოს კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტრიკოტაჟის ფაბრიკა).

უახლოეს დღეებში ასეთივე დახმარებას გავუწევთ ვანისა და ხონის რაიონებში ჩასახლებულ აჭარლებსაც. უსახსრობას რა ვუყოთ, თორემ კარგად ვიცით, ბარად ჩამოსახლებული სვანების წინაშეც რომ არა გვაქვს საბოლოოდ მოხდილი ვალი.

თუ ასოციაცია წელში გაიმართა, იგი აღიდგენს თავდაპირველ სტატუსს. რახან სტიქია დავგეგმეთ, რახან ბუნება უგუნურ, თავხედურ ორთაბრძოლაში გამოვიწვიეთ, სხვა გამოსავალი არც გვრჩება — საზოგადოებამ უნდა შექმნას მუდმივი ფონდი სტიქიით გამოწვეული ჭრილობების მოსაშუშებლად.

ჯერჯერობით კი ჩვენი ასოციაციის მთელი ყურადღება ჯავახეთისკენაა მიპყრობილი. დღეისათვის ასოციაციაში 150-ზე მეტი ორგანიზაციაა გაერთიანებული. ბევრმა მათგანმა ქველმოქმედების ძნელი, მაგრამ უაღრესად საქმიანი, უშუალო, ცოცხალი ფორმა აირჩია — ცალკეულ ჯგუფებად გაერთიანდნენ და მეურვეებად მოეკიდნენ ამა თუ იმ სოფელს.

მაგალითისათვის, მხოლოდ მაგალითისათვის, რამოდენიმე სამეურვეო ჯგუფს დაგისახელებთ. საწარმოო გაერთიანება საქნავთობი, ნავთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ვაჭრობის სამინისტრო, უნივერმაღი „თბილისი“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტები სოფელ ოკამს პატრონობენ. სამ თვეზე მეტია, ჯავახეთის გზებზეა გაბმული ამდენი ხალხი. ყველა ოჯახში შეიხედეს, ყველას სატკივარი გაიგეს, ყველას თანაბრად უწვდიან ხელს. სოფელ ჩუნჩხის „გენერალური“ მეურვეა საწარმოო გაერთიანება „ელვა“, ცეკავშირი სოფ. აზმანას პატრონობას კი არა, აშენებასაც არავის „ანებებს“. ღმერთმა ხელი მოუმართოს, დიდ საქმეს შეეჭიდა, მაგრამ... ძალიც შესწევს ქადილისა.

თბილისის ოცზე მეტი სამედიცინო დაწესებულება ერთ პროფესიულ ჯგუფად გაერთიანდა და ასოციაციასთან შექმნა „სამედიცინო საკრებულო“. საკრებულომ ჯავახეთის ყველა ქართული სოფლის სამედიცინო მომსახურების გრაფიკი შეადგინა და შეუდგა კიდეც მუშაობას; სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ასევე პროფესიული ნიშნით დაჯგუფებულმა თბილისის რამოდენიმე საშუალო სკოლამ იტვირთა; აგრომრეწვის კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითმა ცენტრმა ჯავახეთის ოთხი ქართული სკოლა დააკომპლექტა სასკოლო ინვენტარით.

„ჯავახეთის“ გამგეობასთან შექმნილი სპეციალური ჯგუფი საკადრო პოლიტიკას ამუშავებს იმ ანგარიშით, რომ ხუთ-ექვს წელიწადში ჯავახეთის ქართული სოფლები მთლიანად დაკმაყოფილდეს საშუალო-პროფესიული და უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ადგილობრივი კადრებით. ჯავახეთის რეგიონის აბიტურიენტებს უფასოდ ვამზადებთ საგამოცდო საგნებში. საქართველოს პროფსაბჭომ ივალდებულა დამატებითი სტიპენდია დაენიშნოთ ამავე რეგიონის სტუდენტებს.

მცირე ორგანიზაციები, ცალკეული ჯგუფები თუ პიროვნებები მრავალშვილიან ოჯახებს მოვკიდეთ მეურვეებად. ბევრმა, სხვა რომ არაფერი გაიჩნდა, ჯავახეთს მიაშურა, მკლავები დაიკაპიწა და უანგაროდ, სრულიად უსასყიდლოდ ხარაჩოებზე გაატარა შვებულება.

სამწუხაროდ, დღემდე არც ერთ კოოპერატივს არ გამოუთქვამს „ჯავახეთში“ გაერთიანების ან, თუნდაც, ერთდროული დახმარების სურვილი. რა გემართებათ, ხალხნო, ქვეყანას დღეს სჭირდება შველა. გამდიდრებას ნუ უცდით და სიღარიბეს ნუ მოიმიზეზებთ. „ღარიბები ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბებმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში. ამიტომ, უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოვლისფერში გულუხვი ქართველი ქვეყნის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს“. (ილია)

ჯავახეთს ისეთი ერთგული და თავგამოდებული „ღარიბი“ პატრონები აღმოუჩნდნენ, რომ მათი ღვაწლის აღუნიშნავად ჯავახეთის ახალი ისტორია ვერ დაიწერება. საზოგადოებამ რომ თითქმის არაფერი იცის მათ შესახებ, ეს, უწინარეს ყოვლისა, მათივე „ბრალია“ და შემდეგ ჩვენი „ჯავახეთის“ გამგეობისა. ადრეც ასე ვფიქრობდით და დღესაც არ შეგვიცვლია აზრი — ქველმოქმედებას აფიშირება არ უხდება, იგი ჩუმად, უხმაუროდ უნდა კეთდებოდეს... თუმცა რეკლამის საუკუნე გვაიძულებს მცირე კორექტივი მაინც შევიტანოთ მასში. „ჯავახეთთან“ შევქმენით პრესჯგუფი, რომელიც ინფორმაციის წესით გააცნობს საზოგადოებას ასოციაციის საქმიანობას, მისი ცალკეული წევრების კონკრეტული წვლილის აღნიშვნით. ეს საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ, ის, ვინც ჯავახეთში კვლავ განაგრძობს ან მომავალში დააპირებს ქველმოქმედებას „ჯავახეთის“ გვერდის ავლით, ინფორმირებული მაინც იყოს, რა არის უკვე გაკეთებული და რა გასაკეთებელი. ურიგო არ იქნება „ჯავახეთთან“ ჯერ კიდევ უმძრახად მყოფმა ქველმოქმედებმაც გაგვაცნონ თავიანთი იდეები, ჩვენც ტყუილუბრალოდ რომ არ ვიმტვრიოთ მათზე თავი.

ყველაფერს კი ის აჯობებს, ბატონებო, ბოლო მოვუღოთ „ბზარვასა და ლალვას“. ყველანი, ვისაც არ გვასვენებს ჯავახეთის სატკივარი, ერთ ძალად, ერთ მუშტად შევიკრათ და დროზე, დროზე მივხედოთ საქმეს.

„უდარდელი“ ცხოვრება წავიდა, ისტორია არათუ დაიძრა, მეტად სახიფათოდ, საბედისწეროდ აჩქარდა, და თუ ფეხი ვერ ავუწყეთ, სანაგვეზე მოგვისვრის უთუოდ. გვინდა თუ არა... ისტორიამ ისტორიული პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. შეგვიძლია თუ არა... უნდა დავდგეთ დროის უმკაცრესი მოთხოვნების დონეზე.

გიული ძიძიგური,
რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაციის „ჯავახეთის“ გამგეობის თავმჯდომარე

▼▼

დღეს პირველად ქვეყნდება ასოციაციის რეკვიზიტი: 000700176. სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო. რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „ჯავახეთი“

ავტორის თხოვნით ამ წერილის ჰონორარი გადაირიცხება „ჯავახეთის“ ანგარიშზე.

უცხოეთში

საქდესი [illegible]
27 ნოემბერი

● ჩეხოსლოვაკია

საჭიროა ფართო პოლიტიკური კოალიცია

პრაღა. აქ დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენებით პლენუმზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კარლ ურბანეკი. პარტიის ხელმძღვანელობის სახელით და ძირეული პარტორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით, მან წამოაყენა წინადადება პარტიის რიგგარეშე ყრილობა მოიწვიონ 1990 წლის 26 იანვარს.

ჩვენი აზრით, განაცხადა ორატორმა, ეს აუცილებელია, რათა განმტკიცდეს პარტიის ერთიანობა და ბრძოლისუნარიანობა, შექმნილ ვითარებაში მისი ძალების მობილიზაციისათვის. ყრილობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს უმაღლესი პარტიული ორგანოების შექმნა. ყრილობის დელეგატთა არჩევნები გაიმართება საოლქო პარტკონფერენციებზე.

საგანგებო ყრილობამ უნდა შეაფასოს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, განიხილოს პარტიის მოქმედების პროგრამა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVIII ყრილობამდე პერიოდისათვის. მორიგი ყრილობის მოწვევა ნავარაუდევია დადგენილ ვადებში.

კ. ურბანეკმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ და მთავრობამ დაიწყეს დიალოგი სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, „სოციალისტური გარდაქმნა — აღორძინების კლუბთან“, „სამოქალაქო ფორუმის“ წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებმა აშკარად ცხადყვეს, რომ ამჟამად მათთან დიალოგი შესაძლებელი და აუცილებელია, თქვა კ. ურბანეკმა.

გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება ეროვნული ფრონტის პლატფორმის საფუძველზე შეიქმნას ფართო პოლიტიკური კოალიცია, პარტიათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ჯგუფების თანასწორუფლებიანი გაერთიანება, რომლებიც სოციალიზმის მხარეზე არიან. მომხსენებელმა მხარი დაუჭირა ფედერალური და რესპუბლიკური მთავრობების რეორგანიზაციას, რათა მათს შემადგენლობაში შეიყვანონ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და უპარტიოები.

● სამხრეთ კორეა

შეტაკებანი პოლიციასთან

ტოკიო. **ასობით სამხრეთკორეელმა პოლიციელმა შეუტია სეულის კოლეჯის სტუდენტურ ქალაქს და დაარბია მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა მასობრივი დემონსტრაცია.** კვირას გამართულ მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ სტუდენტები და მუშები, რომლებიც მოითხოვდნენ პრეზიდენტ რო დე უს ადმინისტრაციის გადადგომას და სამხრეთ კორეაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას.

პოლიციელებმა გამოიყენეს ცრემლსადენგაზიანი ხელყუმბარები და ხელკეტები მანიფესტანტთა წინააღმდეგ. დაახლოებით 500 კაცი დააპატიმრეს, რომლებსაც ბრალად დასდეს „საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევა“.

პოლიციისა და დემოკრატიისათვის გამოსვლების მონაწილეთა დაპირისპირების ასპარეზი გახდა წინა დღეს აგრეთვე სამხრეთ კორეის სხვა ქალაქები. პოლიციასა და სტუდენტებს შორის სასტიკი შეტაკება მოხდა პუსანში, მასანსა და ტეგუში.

ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ ჰონდურასის საზღვრის ახლოს ქალაქ სომოტილოში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას მოუწოდა მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებს გაწყვიტონ ურთიერთობა სალვადორთან, სანამ ამ ქვეყნის მთავრობა არ დასჯის ექვსი იეზუიტი მღვდლის მკვლელებს.

⊙ ნიუ-იორკი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დე კლერკმა აღიარა, რომ შეუძლებელია ამ ქვეყანაში თეთრკანიანი უმცირესობა კვლავ განუყოფლად ბატონობდეს. მან განაცხადა, რომ ყველა სამხრეთაფრიკელს უნდა ჰქონდეს ხმის უფლება. ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელსაც იგი მეთაურობს, ახლა აღიარა, რომ ყველა სამხრეთაფრიკელი — შავკანიანი, თეთრკანიანი, ფერადკანიანი თუ ინდიელი — მუდამ გაინაწილებს ძალაუფლებას ერთ ქვეყანაში.

⊙ ნიუ-იორკი. ამერიკის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „დისკავერის“ დაშვება გადაიდო ერთი დღით არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო. ეს მეექვსე ასეთი შემთხვევაა „სპეის შატლის“ პროგრამით 32 გაფრენის ისტორიაში.

პლანეტის „ცხელი წერტილები“

ვაშინგტონის საძრახისი როლი

კარაკასი. ომი სალვადორში უმთავრესად იმიტომ გრძელდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გულუხვ სამხედრო დახმარებას უწევს ამ ქვეყნის მმართველ რეჟიმს, განაცხადა სალვადორის რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის თავმჯდომარემ გილიერმო უნგომ.

ვენესუელის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ ყოველდღიურად სალვადორში იგზავნება თითქმის 1,5 მილიონი დოლარის ამერიკული იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა. გ. უნგომ უარყო სალვადორში ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო შეიარაღებული ჩარევის შესაძლებლობა. ამასთან მან აღნიშნა, რომ მისი აზრით, ვაშინგტონმა, იმის გათვალისწინებით, რომ უპერსპექტივოა იქ კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა, შეიძლება გადასინჯოს თავისი პოლიტიკა სალვადორის მიმართ და დაიწყოს დიალოგის გზების ძიება.

ქვეყანაში გაჩაღებულმა ძალმომრეობისა და თვითნებობის კამპანიამ, განაცხადა გ. უნგომ, აიძულა იგი თავი შეეფარებინა სან-სალვადორში ვენესუელის საელჩოში, ხოლო შემდეგ სალვადორიდან ვენესუელში გამგზავრებულიყო.

სალვადორი. შეიარაღებული კონფლიქტის ბოლო რვა წლის მანძილზე უდიდესი შეტევითი ოპერაცია დაიწყო ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა. მეამბოხეთა რადიოსადგურ „ვენსერემოსის“ ცნობით, მძლავრი საბრძოლო ოპერაციების შედეგად, რომლებიც პარტიზანებმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყეს, სალვადორის შეიარაღებულმა ძალებმა პირველივე საათებში 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.



სურათზე: სან-სალვადორის გარეუბანში საბრძოლო მოქმედების დროს.
რეიტერ-საქდესის ფოტო.

● აშშ

თვითმფრინავები პრეზიდენტისათვის

ვაშინგტონი. ავიაკომპანია „ბოინგი“ ამთავრებს მუშაობას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის განკუთვნილ ორ ახალ თვითმფრინავზე. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, ეს თვითმფრინავები იქნება „ბოინგ-747“ სამგზავრო ფორმის ბაზაზე და შეცვლის პრეზიდენტის ორ ახლანდელ „ბოინგ-707 თვითმფრინავს.

ჩვეულებრივ 400 მგზავრის ნაცვლად პრეზიდენტის „ბოინგ-747“ დაიტევს მხოლოდ 70 მგზავრს და ეკიპაჟის 23 წევრს. ახალი თვითმფრინავები უნდა გახდეს „ტექნიკის საოცრება“ — ისინი აღჭურვილი იქნებიან კომპიუტერებით, საშიფრავი მოწყობილობითა და კავშირგაბმულობის, მათ შორის თანამგზავრული კავშირის საშუალებებით. მოწყობილობა ეკრანირდება ბირთვული აფეთქების დროს წარმოშობილი მძლავრი ელექტროიმპულსებისაგან დასაცავად. თვითმფრინავები აგრეთვე აღჭურვილი იქნება სპეციალური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით.

თვითმფრინავში არის ოთახი პრეზიდენტის, მისი აპარატის თანამშრომელთა, დაცვისა და პრესის წარმომადგენელთა მუშაობისა და დასვენებისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რაც რთული ოპერაციების ჩასატარებლად არის აუცილებელი.

კმაგაუწყობლად პრეზიდენტის „ბოინგ-747“-ის ფრენის რადიუსი 11 ათას კილომეტრს აღემატება.

ორი თვითმფრინავის ღირებულება, რომელიც თავდაპირველი შეფასებით არ აღემატებოდა 250 მილიონ დოლარს, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგენს დაახლოებით 650 მილიონ დოლარს.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

წარდგენილია „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის" მოსაპოვებლად

სიკეთის ნათელი

დღევანდელ საქართველოს როგორც არასდროს ისე სჭირდება სიკეთის ნათელი. სწორედ სიკეთემ უნდა შეაკავშიროს ქართველობა და არა ერთმანეთისადმი ჩასაფრებამ, რომლითაც მხოლოდ მტრებს ვახარებთ.

სიკეთე ანთია ცნობილი ჟურნალისტის ვილენ მარდალეიშვილის წიგნში „რედაქციიდან გაწუხებთ", რომელიც „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის" მოსაპოვებლად არის წარდგენილი.

ეს არის მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებული, ერის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა პორტრეტების გალერეა, რომელთა ცხოვრების სხვადასხვა მომენტებს, შემოქმედებით გზას საინტერესოდ გვიხატავს ავტორი.

ვილენ მარდალეიშვილი, შეიძლება ითქვას, ქუდბედნიერი კაცია, რადგან ისეთ კორიფეებთან მოუწია და უწევს კონტაქტები, რომლებთანაც ყოველი ქართველი, ანაზდად ქუჩაში შეხვედრას რომ ინატრებდა...

ჩვენ ხელთა გვაქვს ალმანახ „კრიტიკის" შარშანდელი მე-5 ნომერი, რომელშიც ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ჯანსულ ღვინჯილია ასე აფასებს წიგნს — „რედაქციიდან გაწუხებთ": „ჩვენ ძალიან გვჭირდება ისეთი წიგნები, როგორიცაა ვილენ მარდალეიშვილის „რედაქციიდან გაწუხებთ", რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში ძალზე დაქვეითებულია ერის თვალსაჩინო მოღვაწეთა ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და დეტალების აღნუსხვის კულტურა. ევროპაში ნიუანსებიც კი არ რჩებათ აღუნუსხველი — არავინ იცის რა ფასი დაედება იმ ეპიზოდს, დეტალს თუ ნიუანსს მომავალში. აი, რა პრინციპით მოქმედებენ.

ვინც კი ჩვენში ამ ხარვეზის შევსებას შეეცდება, აქტიური მხარდაჭერის ღირსია. მერე როგორი სითბოთი წერს ვილენ მარდალეიშვილი. გააზრებული აქვს თავისი მიზანი, უყვარს მოღვაწე, აქვს უტყუარი ჟურნალისტური გუმანი"...



და მართლაც, ეს არ არის ერთი დღისთვის დაწერილი საგაზეთო წერილების კრებული. ეს წიგნი, ხვალ და ზეგ, უფრო საჭირო გახდება, რამეთუ ჩვენი კულტურული ცხოვრებით დაინტერესებულ მკვლევარს თუ ცალკეულ მოღვაწეთა ბიოგრაფს, შრომას გაუადვილებს, დაეხმარება...

ვილენ მარდალეიშვილის წიგნის ღირსება ისიც არის, რომ ავტორი ორიგინალური ხერხებით გვიხატავს ამა თუ იმ პიროვნებას. საერთოდ, გავბედავთ და ვიტყვით, რომ ვ. მარდალეიშვილმა სრულიად ახალი ჟანრიც კი დაამკვიდრა დღევანდელ ქართულ პრესაში. ეს არის დიალოგის, რეპორტაჟის, ჩანახატის თუ რეცენზიის საინტერესო ნაერთი — ძალზე მიმზიდველი საკითხავი.

ვილენ მარდალეიშვილი ანსამბლ „რუსთავის" ერთგული მეგობარია. კრებულში აუცილებლად გამოარჩევთ ამაღელვებელ სტრიქონებს ჩვენს დაუვიწყარ ჰამლეტ გონაშვილზე, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას მეგობარ ჟურნალისტს.

წერილს, რომელსაც ანსამბლ „რუსთავის" მთელი კოლექტივის სახელით ვწერთ, ალბათ, ქართული კულტურის სხვა ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელიც მოაწერდა ხელს და ეს იქნებოდა, უპირველესად, მადლიერების გამოხატვა ვილენ მარდალეიშვილის მიმართ, ეს იქნებოდა ხმაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმისადმი, რომ სიკეთე იმარჯვებს!

ანზორ ერქომაიშვილი,
ფრიდონ სულაბერიძე.
ბადრი თოიძე,
ომარ კელაპტრიშვილი.

ქართული ხელოვნების პროპაგანდისთვის

„ბუნების ლაღი ქმნილება"

„კონჩერტო ვინდერშტაინი" მიუნხენის ის მუსიკალური ორგანიზაციაა, რომელიც „ახალგაზრდა შემსრულებლების" ციკლით როგორც თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ისე სხვა ქვეყნების მუსიკალურ საზოგადოებრიობას აცნობს რჩეულ შემსრულებლებს. მას ფრიად სერიოზული ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი და ამიტომაც ციკლის კონცერტებს მუდამ დიდძალი მაყურებელი ესწრება. ვარსკვლავებით გათამამებული აუდიტორიის მოხიბლვაც ერთობ ძნელი საქმეა. მსჯავრი ზედმიწევნით პირუთვნელია.

ამ ფირმის ერთ-ერთ წარმომადგენელს ამ ზაფხულს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. ფორტუერტეს ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ფინალისტებისათვის მოუსმენია და საგულისხმოა, რომ ექვსი მონაწილიდან არჩევანი ქართველ პიანისტზე ელისო ბოლქვაძეზე შეუჩერებია.



ELISSO BOLKWADZE

13.10. Elisso Bolkwadze wurde in Tbilisi/Georgien geboren. In Leipzig, in Lissabon und bei dem amerikanischen Van Cliburn-Wettbewerb war sie Preisträgerin. Mit dem Klavierabend im Herkulessaal bietet Winderstein die erste Gelegenheit, die junge Pianistin in Deutschland zu hören. Sie spielt drei höchst anspruchsvolle Sonaten: Beethovens C-Dur und Skrjabins gis-moll Sonate, sowie die zweite von Prokofjew.
Karten gibt es beim Winderstein Kartenservice, Telefon 34 66 20 und 34 66 26. Rund um die Uhr.

CONCERTO WINDERSTEIN

აი, ასე გაჩნდა რეკლამები ელისოს მოსალოდნელ კონცერტებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიასა და საფრანგეთში. რაც შეეხება საკონცერტო პროგრამას, ისიც ტურნეს ორგანიზატორებმა შეარჩიეს პიანისტის ვრცელი და მრავალფეროვანი რეპერტუარიდან. ეს იყო ბახის იტალიური კონცერტი, ბეთჰოვენის მესამე სონატა (დო მაჟორი), სკრიაბინის მეორე სონატა-ფანტაზია და პროკოფიევის მეორე სონატა.

ტურნე მილანით დაიწყო. მანცონის თეატრის საკონცერტო დარბაზის მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს მუსიკოსი. თაიგულებს შორის ერთი — თეთრი ვარდების კონა გამორჩეულად ენიშნა ელისოს. ეს ცნობილი ქართველი მომღერლის ზურაბ სოტკილავას მოძღვნილი იყო. იგი დიდი თეატრის დასთან ერთად გასტროლებზე იყო „ლა სკალაში". დიახ, ერთ-ერთმა პირველმა სწორედ მან მიულოცა თანამემამულეს წარმატება. აი, რას გვიამბობს ბატონი ზურაბი კონცერტის შესახებ:

— იტალიელები დიდი ინტერესით ელოდნენ მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატ პიანისტთან შეხვედრას, რომელსაც სრულებით არ იცნობდნენ. როცა გარინდულ დარბაზში გამოჩნდა ლამაზი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა, მღელვარებამ შემიპყრო, არა, ეს ის ღელვა არ იყო, შიში რომ იწვევს, თითქოს მეც ვიგრძენი პასუხისმგებლობა, მერე კი ღვთაებრივი გრძნობა დამეუფლა, რომელიც ერთდროულად სიამაყითაც იყო გამოწვეული და ჩემი თანამემამულის ღირსებებითაც. ელისომ ერთნაირად ძლიერად დაუკრა ყველა ნაწარმოები. პირადად მე დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ მიმიღია, არც ბახის ასეთი ჩინებული შესრულება მომისმენია, კონცერტის შემდეგ ბევრმა იტალიელმა გამიზიარა თავისი აზრი. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ელისოს სახით დიდებული შემსრულებელი გაიცნეს და მას კიდევ უფრო ბრწყინვალე კარიერა უწინასწარმეტყველეს.

კონცერტის შემდეგ ელისო „ლა სკალაში" წამომყვა. იმავე საღამოს იქ დიდი თეატრის საგასტროლო სპექტაკლი ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა-ბალეტი „მლადა" გადიოდა, რომელშიც მთავარ პარტიებს ასრულებდნენ მაყვალა ქასრაშვილი, ნინო ანანიაშვილი და ლელი ჯაფარიძე. დიდებული სამეული იყო. სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ჩვენ ყველანი დიდხანს ვიყავით ერთად. მეორე დღეს კი ელისოს გზა დავულოცეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გასტროლი გაგრძელდა მიუნხენის „ჰერკულესის" დარბაზში, რომელიც დიდი მუსიკალური ტრადიციებით არის ცნობილი, მაინის ფრანკფურტში „მოცარტის დარბაზში" და ლუდვიგჰაფენში.

პროფესიული თვალსაზრისით, — გვიამბობს ელისო, — პირველად ვიგრძენი კონცერტებზე თავისუფლება. საუკეთესო პირობებმა და ატმოსფერომ ზედმეტი ღელვა მომიხსნა და ყოველგვარი ფორიაქის გარეშე შევძელი ისე შემესრულებინა ყველაფერი, როგორც ვნატრობდი, რისი ჩვენებაც მსურდა. უცნაური და საინტერესო მომენტი იყო ისიც, რომ მიუნხენში ჩასვლის მეხუთე დღეს მქონდა კონცერტი, და თქვენ წარმოიდგინეთ, რეპეტიციაც მხოლოდ მეხუთე დღეს იყო დანიშნული საკონცერტო დარბაზში. ესეც, ალბათ, ერთგვარი ფსიქოლოგიური გამოცდა იყო, თუმცა ძნელად გადასალახავი და მაინც, თუ იგი დავძლიე, ისევ გერმანელ მსმენელთა წყალობით. მათ არ ეზარებათ განსაკუთრებით გამოხატონ და გამოამჟღავნონ მოწონება. ოთხჯერ დამაკვრევინეს ბისზე. რაველის, შოპენის, ლისტის ნაწარმოებებისაგან ლამის მესამე განყოფილება შედგა.

და ბოლოს, წარუშლელი შთაბეჭდილება — პარიზთან შეხვედრა, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი დღე დავყავი. კონცერტი ეგრეთ წოდებულ „ლუვრის აუდიტორიაში" იყო დანიშნული. ფრანგმა რადიოჟურნალისტებმა, რომლებმაც კონცერტის წინ უშუალოდ ეთერში გადასცეს ჩემთან ინტერვიუ, „ლუვრის აუდიტორიაში" კონცერტი გარდაქმნის სიკეთეს მიაწერეს, გარდაქმნა რომ არა, ამ დარბაზში, ალბათ, ქართველ შემსრულებელს ვერ მოვუსმენდით.

„ახალი ვარსკვლავი პიანისტების თანავარსკვლავედში", „ბუნების ლაღი ქმნილება", „დიდი ტალანტი", — ეს სათაურები გერმანული პრესიდან არის, ასე გულითადად რომ გამოეხმაურნენ ქართველ პიანისტს. ციტატებით მკითხველს თავს არ შევაწყენთ, ოღონდ ერთი რეცენზიის დასასრულს კი უთუოდ გავაცნობთ: „ელისო ბოლქვაძემ შესანიშნავად გამოამჟღავნა დიდი ტემპერამენტი, დიდი ოსტატობა, და ჩვენი სურვილია, რომ მიუნხენში იგი კვლავ ვიხილოთ". ამ სურვილს უთუოდ უწერია ახდენა, რადგან მუსიკალური ფირმა „კონჩერტო ვინდერშტაინი", ითვალისწინებს რა მუსიკოსის წარმატებას და იმასაც, თუ როგორ ეხმაურება მას პრესა, საგაისოდ იგივე ტურნეთი ხელახალი მიწვევისათვის წინდაწინ უდებს ხელშეკრულებას შემსრულებელს. ეს პირობა ელისო ბოლქვაძესაც უკვე აღუთქვეს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

• • •

სურათზე: ელისო ბოლქვაძის საგასტროლო აფიშა.

შევეწიოთ!..

ფრიად სასიკეთო ძვრები იგრძნობა ამ ბოლო დროს ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში.

განიხვნა კარნი მივიწყებულ სალოცავთა თუ ეკლესიათა, აინთო სანთლები, დატრიალდა სურნელი საკმევლისა, აღევლინა ლოცვა ქართული, ასე რომ სწყუროდა ერსა და ბერს...

და ლოცვა იგი კვლავ შთაგვაგონებს ქველმოქმედებასა და სიკეთეს, საერთო საქმისთვის ღწვასა და მომავლის რწმენას.

მაგრამ ჯერაც რამდენია საზრუნავი, რამდენ წმინდა სალოცავს გასჩენია ბზარი!..

ამ გულისტკივილმა მოიყვანა ჩვენთან ჭყონდიდის ეპარქიის მარტვილის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოაკიმე, რომელმაც, საღვთო საქმეზე საუბრის შემდეგ, ეს წერილობითი თხოვნა გადმოგვცა თანამემამულეთათვის საუწყებლად:

„ჩვენი ეროვნული საუნჯე — ჭყონდიდის ეპარქიის მარტვილის საკათედრო ტაძარი — უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შედგენილი „დეფექტის აქტიც" ადასტურებს..

დედაეგრისის მიწაზე აღმართული ეს ტაძარი ერთ-ერთი უწმინდესი სალოცავია მთელ საქართველოში. იგი თავისი მნიშვნელობითა და ღირსებით მხოლოდ სვეტიცხოველს თუ ჩამოუვარდება, აქ მოახდინა სასწაული პირველ საუკუნეში მაცხოვრის მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. აქ აღზარდა მოძღვართ მოძღვარმა გიორგი ჭყონდიდელმა ქართველთ სიამაყე, მამულის აღმაშენებელი და მტერთა რისხვა — მეფე დავითი.

ტაძარი შველას ითხოვს. და ყოველი ქართველის წმიდათაწმიდა ვალია გადაარჩინოს იგი — განახლებული და სრულქმნილი შემოუნახოს შთამომავლობას.

2 დეკემბერს, შაბათს, ტაძარში თავს მოიყრიან ქართველი მამულიშვილნი, რათა ჩვენთან ერთად იმსჯელონ ამ სალოცავთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ვისაც სურვილი გაქვთ, მობრძანდით და სიტყვაც შეგვაწიეთ.

სხვა სათხოვარიც მაქვს: ქართველი კაცი მუდამ გამოირჩეოდა გულუხვობითა და ხელგაშლილობით, ქველმოქმედებითა და ღვთისმოსაობით. მართალია, ჩვენს ერს ბევრი უბედურება კი დაატყდა თავს, მაგრამ... დღემდე არ დაშრეტია ეს უნარი. ნუმც დაშრეტოდეს!

მწამს, რომ ვინაც ჭეშმარიტი ქართველია, ვისაც გულით უყვარს და ემაყება წინაპრის ნალვაწ-ნახელავი, არა და არ დაიშურებს თავის წილ შემოსაწირს ამ ტაძრის ასაღორძინებლად...".

რედაქციისაგან: ვასრულებთ წინამძღვრის თხოვნას, რომლითაც კიდევ ერთი ქველმოქმედებისათვის მოგვიწოდებს ქართველთ. ჩვენც ერთ-ერთი პირველნი შევაწევთ ჩვენს წილს ამ მადლიან საქმეს. მით უმეტეს, რომ ანგარიშის ნომერიც სხვებზე ადრე შევიტყვეთ. თქვენც გაცნობებთ: მარტვილის აგროსამრეწველო ბანკი. ანგარიში № 70046.

მარტვილის ტაძარზე, მის ოდინდელ როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენი ერის სასულიერო ცხოვრებაში, აგრეთვე იმ სადღეისო საზრუნავზე, რომელზეც ასე წუხს არქიმანდრიტი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ უფრო ვრცლად და სრულყოფილად.



ძველი თბილისის მოტივები.

სიმონ კილაძის ფოტო.

ინვალიდთა ასოციაცია

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია იუწყება, რომ 24-26 დეკემბერს თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება საშობაო-წინასაახალწლო შეხვედრა-საღამოები ინვალიდებისა და მათი ახლობლებისათვის. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ინვალიდთა ასოციაცია აცხადებს მომავალი სათნოების დების სილამაზის რესპუბლიკურ კონკურსს შეხვედრა-საღამოების დედოფლის გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

შეხვედრა-საღამოების უმაღლესი კულტურულ-სანახაობრივი დონის უზრუნველსაყოფად ინვალიდთა ასოციაცია სთხოვს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, შემოქმედებითს კოლექტივებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ კეთილშობილური ღონისძიების მომზადებასა და მოწყობაში.

შეხვედრა-საღამოების შესაფერისად ორგანიზებისათვის ასოციაცია სთხოვს ვაჭრობის, ფინანსთა სამინისტროებს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, გამსახკომსა და სხვა უწყებებს, საქველმოქმედო ფონდებსა და საზოგადოებებს, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს ფინანსურად და მატერიალურად უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიების მოწყობა.

ინვალიდებს ვიწვევთ შეხვედრა-საღამოების საპატიო სტუმრებად. ხოლო დანარჩენი მსურველებისათვის გაიყიდება საქველმოქმედო ბილეთები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 27, ინვალიდთა ასოციაცია, ტელ: 31-77-91, 99-61-99, 39-20-13.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, ზოგან ძლიერი, გურიისა და აჭარის მთებში — ზვავსაშიშროება. დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 4-9, მთაში 0-5, მაღალმთიანეთში — 3 +2 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, ღამით ზოგან ჭარბად, როკისა და ჯვრის უღელტეხილებზე ზვავსაშიშროება, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 5-10, მთაში 1-6, მაღალმთიანეთში —3 +2 გრადუსი.

• • •

თბილისში — ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, ჩრდილო დასავლეთის ქარი, 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში.

ტემპერატურა 8-10 გრადუსი სითბო.

წესი, რიგი და ჩვენ

„ვენდეტა" ქართულად

დიდი დრო არ გასულა, მხოლოდ თვემ განვლო მას შემდეგ, რაც თბილისში, ერთსა და იმავე დღეს, საათისა და ოცი წუთის განმავლობაში სამი გასროლით სამი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა...

თუმცა მაშინ, 18 ოქტომბერს, არავინ უწყოდა დამნაშავისა თუ დამნაშავეთა მიახლოებითი ვინაობაც კი: ეს იყო, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა შემთხვევათა ადგილას ნაპოვნი მასრების შედარებით დაადგინეს — სამივე ტყვია ერთი და იგივე იარაღით იყო გასროლილი.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რა შედეგები მოჰყვა ამ გასროლებს: დაიღუპნენ გლდანის რაიონის სახალხო მოსამართლე იური ალანია და ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი დავით მატკავა, ხოლო მურმან ნიკოლაიშვილი, ქალაქის აღმასკომის მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი, მძიმედ დაიჭრა.

მრავალგვარი ხმა დაირხა იმ დღეებში, ზოგი ერთს ვარაუდობდა, ზოგი — მეორეს, ხალხი სახლში, ქუჩაში, სამსახურში ერთმანეთს ათასნაირ ვერსიას უამბობდა და მტკიცედ სჯეროდათ, რომ ეს მართლაც ასე იყო. ჭეშმარიტება კი, გულდაგულ მიმალული და ბოროტებასთან, სისხლთან წილნაყარი ჭეშმარიტება ახალ სიავეთა მომასწავებელი სიჩუმით იმზირებოდა ბუნაგიდან.

მაგრამ, ვიდრე ამ ბუნაგს მიაგნებდნენ და ნიღაბჩამოხეულ ჭეშმარიტებას დღის სინათლეზე გამოიტანდნენ, ერთმა თვემ განვლო, დაძაბული შრომის, ძიების გრძელმა თვემ.

და აი, 14 ნოემბერს, გლდანის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტბის მახლობელ ტყეში, გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ ლევანის ძე ჩუთლაშვილი.

ბარემ ვიტყვით, მან იქვე აღიარა დანაშაული, თვითონვე მიუთითა მილიციის წარმომადგენლებს ის ადგილი, სადაც ავბედითი იარაღი ინახებოდა, ხოლო შემდეგ, უკვე გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, წვრილად უამბო ამ საშინელი ბოროტმოქმედების ამბავი.

ვლადიმერ ჩუთლაშვილი სოფელ პატარა გლდანში ცხოვრობს. ამ რამდენიმე წლის წინ უთანხმოება შეექმნა მეზობელთან მიწის თაობაზე (ჩუთლაშვილი მეზობელს ღობის გადაწევას თხოვდა). როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მესამე პირის ჩაურევლად ვერ მორიგდნენ და მათი საქმე გლდანის რაიონის აღმასკომის საკონფლიქტო კომისიამ გაარჩია. თავდაპირველად საკითხი ჩუთლაშვილის სასარგებლოდ გადაწყდა, მის მეზობელს ეთხოვა, გადაეწია ღობე, მაგრამ... როდის ყოფილა, ერთ გოჯ მიწას ასე ადვილად შელეოდეს ჩვენებური, მით უფრო, როცა საქმე პრინციპსა და ჯიბრზე მიდგება ხოლმე. აქაც ასე მოხდა. საკითხის საბოლოო გადაწყვეტის მიზნით ჩუთლაშვილისა და მისი მეზობლის დავა გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაეცა.

...ვიდრე განვაგრძობდეთ ამ ამბავს, ერთ საგულისხმო დეტალს აღვნიშნავთ: გლდანის რაიონის აღმასკომსა და სასამართლოში მაშინ მუშაობდნენ მურმან ნიკოლაიშვილი (აღმასკომის თავმჯდომარე), დავით მატკავა (სასამართლოს თავმჯდომარე) და იური ალანია (სახალხო მოსამართლე).

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, რაკი ჩუთლაშვილმა შეიტყო, საქმე ჩემს წინააღმდეგ ბრუნდებაო, გრძნობები ველარ მოთოკა, მუშტი-კრივზე გადავიდა და იქვე, მოსამართლისა და წესრიგის დამცველთა თვალწინ თავის მეზობელს ხელი გაარტყა...

გაასამართლეს. მიუსაჯეს ორი წელი და 6 თვე. აქედან ექვსი თვე ვლადიმერ ჩუთლაშვილმა კოლონიაში გაატარა, ორი წელი კი მიმაგრებაში იყო.

იქ, გისოსებს უკან, ჩუთლაშვილის გულში რა ცეცხლი დატრიალდა, არავინ უწყის. ეს კია, 1987 წელს, როცა იგი განთავისუფლდა, ყველაფერს მიანება თავი, აღარ მუშაობდა, სახლი შვილის სახელზე გადააფორმა, მანქანა გაყიდა და აღებული თანხაც შვილის სახელზე შეიტანა, თვითონ კი, მისივე თქმით, წყალტუბოში დაუდგენელი პირისაგან შეიძინა იარაღი და... შეუდგა შურისძიებისათვის მზადებას. ოთხი წლის მანძილზე ჩუთლაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა, სად მუშაობდნენ იმ დროისათვის ალანია, მატკავა და ნიკოლაიშვილი; დაადგინა, რა დროს სად იყვნენ ხოლმე ისინი, შემდეგ კი...

18 ოქტომბერს, ვლადიმერ ჩუთლაშვილმა, დილით მიაკითხა ალანიას და მოკლა. მეორე მსხვერპლამდე შემთხვევითი მანქანით მივიდა. კვლავ გასროლა, კვლავ სისხლი. ჩუთლაშვილმა ახლა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ირჩია მგზავრობა. კვლავ გასროლა და ამჯერად, ტყვია სასიკვდილო არ აღმოჩნდა...

ამ ოთხმოცწუთიანი ტრაგედიის შემდეგ ჩუთლაშვილი საგულდაგულოდ მიიმალა და მისი ავალ-დასავალი ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ.

ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი. დაჰკითხეს ამ ამბის თვითმხილველნი, შედგა სიტყვიერი ფოტოპორტრეტი; ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა თავიდანვე ასე გაიაზრეს: სამივე მკვლელობა რაღაცით უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს. საჭირო იყო ალანიას, მატკავასა და ნიკოლაიშვილის მონაწილეობით განხილული საქმეების ამოღება და შესწავლა. მათ შორის შეხების წერტილის ძიებისას თანდათან გამოიკვეთა ჩუთლაშვილის პიროვნებაც.

და ბოლოს, როცა ჩუთლაშვილის სახლის ეზოში აღმოაჩინეს გასროლილი ვაზნების მასრები და ისინი შემთხვევის ადგილას ნაპოვნ მასრებს შეუდარეს, აღმოჩნდა, ყველა ერთი და იგივე იარაღით იყო გასროლილი.

— ჩვენთვის ცნობილი გახდა, — ამბობს გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, გიორგი ტაბატაძე, — რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ ჩუთლაშვილი იმალებოდა ტყეში. სასწრაფოდ შევამოწმეთ სავარაუდო ადგილები. ერთგან, გამოქვაბულში, ადამიანის ადგილსამყოფელს მივაგენით, ვიღაცას აქ მოეტანა საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და სხვა, თუმცა ყოველივე ამის მფლობელი არსად ჩანდა. ჩაუსაფრდნენ. 14 ნოემბერს გამოქვაბულს ვიღაც მიუახლოვდა...

როგორც აღვნიშნეთ, ვლადიმერ ჩუთლაშვილმა დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული.

შემდეგ, დაკითხვისას, ისიც თქვა, რომ ეს დანაშაული შურისძიების წყურვილით ჩაიდინა; რომ „ვენდეტამდე" თავს შეუძლოდ გრძნობდა, ვერ ისვენებდა, წნევაც კი აწეული ჰქონდა, ახლა კი, როცა „განაჩენი" აღასრულა, ყველაფერმა გაუარა და ჯანმრთელობასთან ერთად სულიერი წონასწორობაც აღუდგა.

ერთი ეგ არისო, დასძინა მკვლელმა, კიდევ ორი პიროვნების ჯავრი დამრჩა, ვერ მოვასწარიო.

ცხადია, ყველასათვის საინტერესოა, ვინ არის და რას წარმოადგენს ვლადიმერ ჩუთლაშვილი, რას საქმიანობდა და რით ცხოვრობდა აქამდე.

ვლადიმერ ლევანის ძე ჩუთლაშვილი დაიბადა 1933 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში. აქვს საშუალო სპეციალური განათლება და პროფესიით მეფუტკრე-აგრონომია, თუმცა თავისი ხელობა ცხოვრებაში თითქმის არ გამოუყენებია. მუშაობდა სხვადასხვა ადგილას, მათგან ყველაზე ხანგრძლივად — ტაქსის მძღოლად. კარგა ხნის წინათ დასახლდა სოფელ პატარა გლდანში. ჩუთლაშვილი სამჯერაა განქორწინებული და სამივე ოჯახიდან თითო შვილი — ვაჟები ჰყავს...

ამჟამად ვლადიმერ ჩუთლაშვილის საქმეს რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს. სრულ ჭეშმარიტებასაც, ალბათ, მისი დასრულების შემდეგ შევიტყობთ.

სოსო ბალაშვილი.

ქართული ჭიდაობა

ხუთგზის ფალავანი

ქართულ ჭიდაობაში პირველი საერთაშორისო ტურნირისადმი მიძღვნილ პროგრამაში, სხვადასხვა საინტერესო მასალასთან ერთად, ყურადღებას იპყრობს საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატების სტატისტიკა. საქართველოს ფალავანთა სია პირველად გამოქვეყნდა, თუმცა მის შემდგენლებს რამდენიმე შეჯიბრების ოქმისთვის ვერ მიუგნიათ და ზოგიერთი გამარჯვებულის გვარი გამოკითხვის წესით დაუდგენიათ. ამ სიიდან ირკვევა, რომ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს აქამდე ყველაზე მეტჯერ — ხუთჯერ ფლობდნენ ზაქარია ბაკურაძე და ანზორ კიკნაძე.

საქართველოს ხუთგზის ფალავანთა რიგებში ჩადგა ქარელელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მალხაზ ბერუაშვილიც, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საინტერესოა, რომ მალხაზმა პირველად ათი წლის წინ მოიპოვა რესპუბლიკის უძლიერესი ფალავნის სახელი, თუმცა ახლანდელ გამარჯვებას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს: წლევანდელი პირველობა ხომ საერთაშორისო იყო. მართალია, მოწვეულ უცხოელ მოჭიდავეთა უმრავლესობა, სხვადასხვა მიზეზით, თბილისში არ ჩამოსულა, მაგრამ ეს ტურნირი ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

სარბიელზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი. ტურნირის ფავორიტად უწინარესად სწორედ მალხაზ ბერუაშვილს ასახელებდნენ. მან იოლად გაიმარჯვა მძიმე წონაში, დანარჩენ კატეგორიებში კი საუკეთესონი იყვნენ კასპელი ჯემალ გუდიევი (80 კგ), ქარელელი ჯემალ მჭედლიშვილი (90 კგ) და საგარეჯოელი კობა კუპატაძე (100 კგ). სწორედ ამ ოთხეულმა გააგრძელა ბრძოლა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის. ნახევარფინალში კუპატაძემ გუდიევს მოუგო, ბერუაშვილმა — მჭედლიშვილს.

ფინალში ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ ბერუაშვილი და კუპატაძე. ეს შეხვედრა სამ წუთს გაგრძელდა. ბერუაშვილმა ეფექტური ილეთით ხალიჩაზე დასცა ახალგაზრდა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა. საბოლოოდ, აბსოლუტურ პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მალხაზ ბერუაშვილი, 2. კობა კუპატაძე, 3. ჯემალ მჭედლიშვილი.

• • •

სურათზე: საქართველოს 1989 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში მალხაზ ბერუაშვილი.

ვარლამ ბენდიურის ფოტო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ბიოლოგიის განყოფილება, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ მიტროფანეს ძე ლაღიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია—სამშაბათი, 28 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჭასთან". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერი". 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვაზე და პატარა ბავშვებზე" (პირველი ჩვენება). 18.00 — მოსწავლეთათვის. „ონის პიონერთა სახლი". 18.15 — დიალოგი კომპიუტერთან. 18.40 — განცხადებები. 18.45 — მინის სატკივარი. 19.25 — „საუნჯე". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოლომონის ბაღი" (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები. 21.05 — „ცხოვრება კაცისა". მარჯორი უორდროპი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — „შეხვედრები წმინდა მიწაზე".

მეორე პროგრამა. 17.35 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პობოი". 18.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 18.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სამი ამბავი ტელეფონით". 19.15 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მონტაჟი". I და II სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.05 — ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრუბადური". თეატრ-არენა დი ვერონას (იტალია) სპექტაკლი. 12.45 — ბავშვის საათი (ფრანგული ენის გაკვეთილითურთ). 13.45 — „ეს იყო... იყო...". 16.30 — საბავშვო ფილმი „სინათლეები მდინარეზე" 17.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.20 — ბელგრადის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ივო ლოლა რიბარის" კონცერტი (იუგოსლავია). 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ცხენი". 19.00 — „რას უმღერიან დედამიწის შვილები". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ტელეფილმი. 20.30 — გარდაქმნა: პრობლემები და გადაწყვეტა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 23.10 — მხატვრული ტელეფილმი „მამა მივლინებაშია". II სერია. 0.10 — დღეს მსოფლიოში. 0.25 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — ალმანახი „ბუნების საიდუმლოებანი". 9.35; 10.35; 11.35 და 12.35 — გეოგრაფია. 10.05 და 11.05 — ფრანგული ენა. 12.05 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „სადღაც ქუხს ომი". I სერია. 14.15 — კინოჟურნალი „კოოპერატორი". 14.35 — რიტმული ტანვარჯიში. 15.05 — მღერის ნ. სინელნიკოვა. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ნიკოლო პაგანინი". II სერია. 19.15 — ყაზახეთის სსრ სახტელერადიო. 20.00 — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო!".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 06434 უე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7-8 9 10 11 12 13 14